ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — СТРАН СОВЕТОВ — ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНИТЕСЬ!

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 114 (18656) ოთხშაბათი, 18 მაისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქმე—მთავარი გამომცდელი

გათუმი. (საკ. კორ.). მანქანათმშენებელი ქარხანა ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი საწარმოა, რომელიც უშვებს ჩაის ფაბრიკების სრულ აღჭურვილობას. წელს საქართველოს ჩაის ფაბრიკებს ათობით დასახელების მანქანები და დანადგარები გაუგზავნეს. გარდა ამისა, მოწყობილობის რამდენიმე კომპლექტი გაეგზავნათ აზერბაიჯანელ მეჩაიეებს, ხოლო ჩაის ღუმელები, საღნობი აგრეგატები და სხვა მოწყობილობა — ვიეტნამელ მეგობრებს.

პროდუქციის ვადამდე და მამაღალხარისხოვანი გამოშვება უზრუნველყვეს საამწყობო საამქროს მუშების ა. ალექსანდრიდისა და ი. ადილოვის ბრიგადებმა.

ქარხანაში არის სხვა სიახლეც: ექსპერიმენტული საამქროს კოლექტივმა დაამზადა აგურა ჩაის გადასამუშავებელი ავტომატზებული ხაზი, რომელიც მონტაჟდება ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში. ახალი ხაზი დააპროექტეს სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს თბილისის ჩარხმშენებლობის საპროექტო ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა. ახალი ხაზი საექსპლოატაციოდ ახალ სეზონში გადაეცემა.

ჩაის ფაბრიკის მოწყობილობათა დამზადებას საწარმოს საერთო პროდუქციაში მესამედზე მეტი უჭირავს. დანარჩენ პროდუქციას შეადგენს კვების მრეწველობისათვის საჭირო სხვა მანქანები.

ქარხნის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით, წლეულს გაუმჯობესდა ნედლეულით მომარაგება, რაც საწარმოს წარმატებით გამოიხატა. ქარხნის კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა 101,1 პროცენტით შეასრულა, აპრილისა კი ორი დღით ადრე.

მანქანათმშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ გეორგიევსკის ტრაქტატის საიუბილეო თარიღს ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ.

ᲒᲝᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲙᲣᲐᲠᲘ

საქართველოში ძალას იკრებს ბოსტნეულის კონვეიერი: მიწათმოქმედები შეუდგნენ ღია გრუნტში მოყვანილი კიტრის კრეფას. პირველი რამდენიმე ტონა პროდუქცია ლაგოდეხის რაიონიდან გაეგზავნა თბილისელ და რუსთაველ მშრომელებს.

წყვეტენ რა რესპუბლიკის მოსახლეობის ახალი ბოსტნეულით მთელი წლის მანძილზე მომარაგების პრობლემას, სოფლის მშრომელები იბრძვიან პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისათვის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის. და აქ ფასდაუდებელია რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების როლი. რაიონული გაერთიანებები აკონტროლებენ ბოსტანში ყველა სახეობის სამუშაოს — ნიადაგის გაფხვიერებით დაწყებული და ბოსტნეულის კრეფითა და გადატანით დამთავრებული და მოწოდებული არიან მოგვარონ ყველა ქვეგანყოფის ზუსტი მუშაობა.

წელს რესპუბლიკის სოფლის მშრომელები აპირებენ დაამზადონ დაახლოებით ოთხასი ათასი ტონა ბოსტნეული. (საქინფორმი).

სპეციალური შეკვეთები

ტყიბული. (საკ. კორ.). კურსების გრანიტის ქარხნის (დირექტორი გ. გუმბერიძე) კოლექტივი სასახელოდ ანაღდებს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრებითი ნაკისრი ვალდებულებებს. აქ ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შესრულდა ოთხი თვის სახელმწიფო დავალება. განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 69 ათასი მანეთის გრანიტის სამშენებლო ქვის ფილები. ასევე სიმძლავრეთა ამოქმედებამ, შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისა და მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვის შედეგად შემცირებულია ფასიანი ვებული პროდუქციის თვითღირებულება. მეგრანიტეებმა პირველ კვარტალში სახელმწიფოს მისცეს 56 ათასი მანეთი მოგება.

ქარხნის კოლექტივის მიერ მიმდინარე წელს გამოშვებული პროდუქციის დიდი ნაწილი თბილისის უნიკალური მოედნის მშენებლობაზე გაგზავნა. ახლა კურსებში რესპუბლიკის ტერიტორიაზე მშენებარე ათი საიუბილეო ობიექტის საპატიო შეკვეთებს ასრულებენ. ამ დღეებში 62 კუბური მეტრი გრანიტის ქვა გაიგზავნა მოსკოვში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავ მონუმენტის ასაგებად.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

მანამედროვე კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც მიწის ვრცელი სავარგულები და დიდი ფერმები აქვს, მანქანების კომპლექსის გარეშე იოლად ვერ წავა. ძნელი წარმოსადგენია არ აგრეთვე მეურნეობა, რომელიც ელექტროენერგიას არ იყენებდეს.

დღეისადაგ იზრდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ენერგეტიკული სიმძლავრენი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმზე აღინიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საწარმოო ურთნიერთობების მოდალეფიქტიანი გამოყენება, სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება ქვეყნის სასოფლათო პროგრამის წარმატებული რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა. ფაროოოდება შეჯეთებელი ქარხნების, სახელოსნოების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოების, ელეკტორების, სათბურების, საცხოვრებელი სახლების, კლუბების, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობის მასშტაბი, სადაც აგრეთვე ელექტროენერგია იქნება საჭირო.

სასურსათო პროგრამით გათვალისწინებულია 1990 წლისათვის 210-235 მილიარდ კილოვატსაათამდე გაიზარდოს სოფლის მეურნეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება. მწყობრში ჩადგება და გარდაიქმნება ახალთასობით კოლმეტრი ელექტროგადამცემი ხაზები, სატრანსფორმატორო ქვესადგურები, გაიზრდება მოწყობილობისა და კაბელის ნაწარმის მიწოდება. უკვე მომდინარე ხუთწლედის დამლევისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტრომანქანების პარკი შეივსება 20 მილიონზე მეტი ძრავითა და დანადგარით.

თანამედროვე ელექტროტექნიკური საშუალებებიო კარგად აღჭურვილი მოწინავე მეურნეობების პრაქტიკა მოწმობს: მათი გამოყენების ეკონომიკური ეფექტი უდავოა. ამაში ვრწმუნდებით კალინინის ოლქის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის მაგალითით. აქაური საღორე თავისი აღჭურვილობით ქარხანას გაუწევს მეტოქეობას. საღორეში მთლიანად მექანიზებულია საკვების განაწილება, დარწყულება, სადგომების დასუფთავება, დაწენგილია სამრეწველო ტელევიზია. ყოველწლიურად კომპლექსი ქვეყანას აძლევს 9,5 ათას ტონა ღორის ხორცს, რომლის თვითღირებულება მანეთზე ოდნავ მეტი ჯდება, რენტაბელობის დონე კი 80 პროცენტს აღემატება. მეურნეობამ მოკლე ვადებში ანაზღაურა საწარმოს განვითარებისათვის დახარჯული სახსრები და მიიღო 20 მილიონ მანეთზე მეტი მოგება.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დადგმული რთული ელექტროტექნიკური მოწყობილობა უყურადღებოდ არ უნდა იყოს. მისი რემონტის, მოვლისათვის, ენერგიის ყაირათიანი, მომჭირნე ხარჯვისათვის საჭიროა საიმედო სამსახური. და თუმცა იგი შექმნილია, მაგრამ მთლიანად როდია დაკომპლექტებული კვალიფიციური კადრებით. მეურნეობებში აკლიათ ათასზე მეტი ენერგეტიკოსი, თითქმის ორი ათასი ინჟინერი, ათიათასობით ელექტრომონტიორი. ამასთან მათ ცოტასაც ამზადებენ. მიმდინარე ხუთწლედში, მაგალითად, სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

17 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

და კურსებზე უნდა ასწავლონ 188,5 ათას ელექტრომონტიორს, მაშინ როცა მარტო რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აკლიათ ასეთი სპეციალობის მქონე 140 ათასზე მეტი კაცი.

სუსტად არის დაკომპლექტებული კადრებით ვოლგისპირეთის, ცენტრალურ, რუსეთის სფსრ არაშავმიწანადგაანი ზონის, საქართველოსა და უზბეკეთის სს რესპუბლიკების ბევრი მეურნეობის ელექტროტექნიკური სამსახურები. მაგალითად, რიაზანის ოლქის 37 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არ არის არც ერთი ელექტრომონტიორი, ხოლო 158 მეურნეობაში მხოლოდ თითოა. სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოში მხოლოდ თითო ელექტრიკოსი სპეციალისტია, რაიონებში კი ისინი საერთოდ არ არის. რას იწვევს ეს? ელექტროძრავების ტექნიკური მომსახურება, შეკეთება ცუდად არის მოწყობილი, მოგვარებული არ არის ენერგიის მოხმარება, ბევრი ძრავა გამოდის მწყობრიდან.

ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები ხშირად ჩივიან: ჭირსო სოფლად სპეციალისტის დამკვიდრება. მართლაც, კადრების დენადობა ჯერჯერობით, სამწუხაროდ, დიდია. მაგრამ ხომ შეძლეს, მაგალითად, მოსკოვის ოლქის მოსკოვის საბჭოს სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, პოლტავის ოლქის შიშაკის რაიონის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობაში შეექმნათ ენერგეტიკოსთა მუდმივი შრომითი კოლექტივები. ოსტატთა მომზადებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან „როსტოვსოფლენერგოს“ ხელმძღვანელები, კომუნისტები. ამიტომ ოლქის მეურნეობები სხვებზე უკეთ არიან უზრუნველყოფილი ასეთი მუშაკებით, აქ კარგად არის მოგვარებული მოწყობილობის მომსახურება, რაციონალურად იყენებენ ელექტროენერგიას. საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, სახსოფლტექნიკა, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები უფრო დეტალურად ამზადებდნენ და უმალლესებდნენ კვალიფიკაციას მონტიორებს, ზეინკლებს, „სოფლტექნიკის“ ქარხნების მუშებს, რომლებიც მოწყობილობის რემონტზე სპეციალდებიან. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების საბჭოები უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ თითოეულ მეურნეობაში ელექტრომონტიორებს ჰქონდეთ მუშაობისა და დასვენების კარგი პირობები, დანერგონ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები.

„პრავდაში“ მოსულ წერილებში სოფლის ენერგეტიკოსები სერიოზულ პრეტენზიებს უყენებენ მომმარაგებელ ორგანოებს სათადარიგო ნაწილებისა და მასალების არადროული მიწოდების გამო, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს — ნაწარმის დაბალი ხარისხის, სახსოფლტექნიკის საწარმოებს — ძრავების ნელი აღდგენის გამო. „ძალიან ხშირად შემკეთებლები თავს იმით იმართლებენ, რომ არა აქვთ საბვეი სადენი, — წერს კრასნოიარსკის მხარის ბელორეჩენსკის რაიონის კოლმეურნეობა „რუსეთის“ მონტიორი გ. შჩერბაკოვი. — დავას არ დავიწყებ, ელექტრომასალების მიწოდება ცუდად არის ორგანიზებული. ამავე დროს თითოეულ მეურნეობაში მიგდებულია ათობით ძრავა — მოძველებული, გადამწვარი, ჩამოწერილი აგრეგატი. არადა, ეს ხომ ფოლადი, თუჯი, სპილენძია. არავინ ფიქრობს მათს შეგროვებას და საქმეში გამოყენებას. დროა უკვე გამოვიყენოთ ეს რეზერვი, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გავაუმჯობესოთ სათადარიგო ნაწილებითა და მასალებით მეურნეობათა მომარაგება“.

მინდვრებსა და ფერმებში შრომატევადი პროცესების შემდგომი ელექტრომექანიზაციისა და ავტომატიზაციის კურსი, ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ზრდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ენერგეტიკის სამსახურს მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები, სოფლის კომუნისტები. ისინი უნდა ამაღლებდნენ ორგანიზებულობისა და დისციპლინის დონეს, კადრების შრომითს უკუგებას, რაც საშუალებას მისცემთ გაუმჯობესონ წარმოების ხარისხი შედეგები.

სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის გეგმების შესრულება ენერგეტიკოსთა პირდაპირი მოვალეობაა. მათი ვალია ამაღლონ ხიზუსტე მუშაობაში, მიწათმოქმედებს, მეცხოველეებს, მელიორატორებს დაეხმარონ შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდაში, პროდუქციის გამოსავლიანობის არსებითს გადიდებაში, მომხმარებლამდე დროზე და უდანაკარგოდ მის მიტანაში.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ: ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲛᲔᲕᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲘ

თელავი. (საკ. კორ. დ. გერგიშვილი). დიდი ისტორიული მოვლენის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის საიუბილეო თარიღისათვის მზადებამ რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა უბანი მოიცვა. ამ საქმით არის დაკავებული შრომითი კოლექტივების თითოეული წევრი, რამეთუ ისტორიამ სწორედ მათ დააკისრა არა მარტო სტუმართა, არამედ მასპინძელთა მასპინძლობაც, რამდენადაც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სტუმრები მასპინძლებთან ერთად უთუოდ მონინახულებენ ერეკლეს ქალაქს. მოისურვებენ ახლოს გაეცნონ ინტერნაციონალური რაიონის დღევანდელ ყოფას. სწორედ ამიტომ განსაკუთრებულია თელავის რაიონის მშრომელთა სამზადისი.

წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა მეგობრობის უკვდავი მანიფესტის იუბილეს აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მოქმედებს დევიზით: „სასახელო მაჩვენებლებით შეეხვედეთ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს!“.

შრომითი პაექრობის საერთო ფერხულში საპატიო მისია აკისრიათ რაიონის მევენახეებს: ყოველგვარ კლიმატურ პირობებში მოიწონ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ყურძენი, დაიყენონ საუკეთესო ხარისხის ღვინოები.

მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის ყურძნის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა საიუბილეო წლის შესატყვისი ენთუზიაზმით დაიწყეს აქაურმა მევენახეებმა. ორგანიზებულად და ხარისხიანად ჩაატარეს შემოდგომა-ზამთრისა და საგაზაფხულო სამუშაოები საზოგადოებრივი მეურნეობების 10568 ჰექტარ ზვრებში, მაგრამ აღებული შრომის ტემპს ხან ნაღლეები და ხან გვალვა აფერხებდა, რასაც ხშირად ვაზის მავნებელ-დაავადებათა მომძლავრება მოსდევს, 25 აპრილს კი სტატამაც „მოუსინჯა კბილი“ რუისპირის ზონის საზოგადოებრივ ვენახებს, ადგილად დაძალა უსუსური, ახლად გამოტანილი ყურძნიანი ყლორტი და შეასხიპა რქას.

ამინდის ჭირვეულობამ მეზვრეებს შეუქმნეს აუცილებლობა ადრე დაეწყოთ ვენახების შეწამვლა — ჯერ აბლაბუდას მკეთებელი ტკიპას საწინააღმდეგოდ, ხოლო შემდეგ კომბინირებული ნაზავით სხვადასხვა დაავადების სალიკვიდაციოდ.

გამოცდილმა მევენახეებმა ამჯერადაც დროულად მიმართეს საჭირო ზომებს, ასევე რაიონის საზოგადოებრივ ზვრებს ყოველდღიურად ლამქრავენ ვენახების საწამლი, რიგთაშორისების და ფლიოში არ ცხრება დაძაბულობა და ცალკეულ რეგიონებში საშიში სიტუაცია შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით მოქმედი იმპერიალისტური ძალების აგრესიული ავანტიურისტული კურსის შედეგად. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა შემდგომ გააქტიურდეს მთელი პროგრესული, მშვიდობისმოყვარე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების ბრძოლა ომის საფრთხის დაცხრობის, გამალებული შეიარაღების ალაგმვის, ქვეყნად მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებისათვის.

სამხრეთ აფრიკის პრობლემებზე აზრთა გაზიარებისას ორივე მხარემ მტკიცედ მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გამოუცხადებელი ომი ანგოლის წინააღმდეგ და გაყვანილ იქნენ რასისტთა ჯარები მისი ტერიტორიიდან, აგრეთვე შეწყდეს მარინისტული რეაქციული ანტიანგოლური ორგანიზაციების მხარდაჭერა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ძირგამომთხრელი მოქმედება სხვა „ფრონტისპირა“ სახელმწიფოების წინააღმდეგ.

გადაჭრით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები, რომლებიც ცდილობენ გააკანონ ნამიბიელი ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება და ამ მიზნით ხელოვნურად ატმასნიან აღნიშნულ პრობლემას ანგოლაში კუბელ მეომარ-ინტერნაციონალისტთა ყოფნის საკითხს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მასთან.

სსრ კავშირი და ანგოლა იღებენ, რათა პრეტორიის რასისტებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ნამიბიის უკანონო ოკუპაცია და სასწრაფოდ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ, მათ შორის, უშიშროების საბჭოს № 435 რეზოლუცია.

ჟ. ე. დუშ სანტუშმა უღრმესი მადლობა უძღვნა საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს ანგოლის ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების, გარეშე საფრთხის მოგერიების საქმეში ინტერნაციონალისტური დახმარებისათვის. საბჭოთა მხარემ განაცხადა, რომ სსრ კავშირი კვლავაც დაუჭერს მხარს ანგოლის სახალხო რესპუბლიკას სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში.

ი. ვ. ანდროპოვმა და ჟ. ე. დუშ სანტუშმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ განუხრელად მტკიცდება სსრ კავშირისა და ანგოლის მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მტკიცე საფუძველზე, და საჭიროდ ცნეს შემდგომ განაგრძარონ ურთიერთობა და კონტაქტები ყველა დარგში, კერძოდ, სხვადასხვა დონეზე ახრთა გაზიარებისა და კონსულტაციების პრაქტიკის გაფართოების გზით.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ ისწრაფვიან კვლავაც განაგრძონ ორივე პარტიის გამამდიდრებელი გამოცდილების გაზიარება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მპლა-შრომის პარტიას შორის. (საკდესი).

სურათზე: საუბრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

16 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ი. ვ. ანდროპოვი შეხვდა მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარეს, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ეროზე ედუარდუ დუშ სანტუშს.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, განიხილეს საერთაშორისო ვითარების ზოგიერთი აქტუალური პრობლემა და, უწინარეს ყოვლისა, აფრიკის კონტინენტის სამხრეთში შექმნილი მდგომარეობა, აგრეთვე იმსჯელეს საბჭოთა კავშირ-ანგოლის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე.

საერთაშორისო საკითხთა განხილვისას ორივე მხარემ გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ მსოფლიოში არ ცხრება დაძაბულობა და ცალკეულ რეგიონებში საშიში სიტუაცია შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით მოქმედი იმპერიალისტური ძალების აგრესიული ავანტიურისტული კურსის შედეგად. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა შემდგომ გააქტიურდეს მთელი პროგრესული, მშვიდობისმოყვარე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების ბრძოლა ომის საფრთხის დაცხრობის, გამალებული შეიარაღების ალაგმვის, ქვეყნად მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებისათვის.

სამხრეთ აფრიკის პრობლემებზე აზრთა გაზიარებისას ორივე მხარემ მტკიცედ მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გამოუცხადებელი ომი ანგოლის წინააღმდეგ და გაყვანილ იქნენ რასისტთა ჯარები მისი ტერიტორიიდან, აგრეთვე შეწყდეს მარინისტული რეაქციული ანტიანგოლური ორგანიზაციების მხარდაჭერა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ძირგამომთხრელი მოქმედება სხვა „ფრონტისპირა“ სახელმწიფოების წინააღმდეგ.

გადაჭრით დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები, რომლებიც ცდილობენ გააკანონ ნამიბიელი ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება და ამ მიზნით ხელოვნურად ატმასნიან აღნიშნულ პრობლემას ანგოლაში კუბელ მეომარ-ინტერნაციონალისტთა ყოფნის საკითხს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მასთან.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

16 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ანგოლის დოკუმენტებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მპლა-შრომის პარტიის თანამშრომლობის შეთანხმებას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა და ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშმა.

სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის 1983-1984 წლების კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის ოქმს ხელი მოაწერეს ა. ა. გრომიკომ, და მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. ჟორჟემ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მპლა-შრომის პარტიის პარტიული ურთიერთობის გეგმას ხელი მოაწერეს ბ. ნ. პონომარიოვმა და მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა საერთაშორისო ურთიერთობის დარგში ა. ვანდუნემმა (მბინდამ).

დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ამხანაგები ჰ. ა. ალიევი, ვ. ვ. ვერშინინი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ვ. კუზნეცოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპტონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი;

ანგოლის მხრივ — ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც ჟ. ე. დუშ სანტუშს ახლავან. (საკდესი).

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲒᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

16 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ანგოლის დოკუმენტებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მპლა-შრომის პარტიის თანამშრომლობის შეთანხმებას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა და ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშმა.

სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის 1983-1984 წლების კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის ოქმს ხელი მოაწერეს ა. ა. გრომიკომ, და მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. ჟორჟემ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მპლა-შრომის პარტიის პარტიული ურთიერთობის გეგმას ხელი მოაწერეს ბ. ნ. პონომარიოვმა და მპლა-შრომის

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 16 მაისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარეს, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშს.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები ნ. ა. ტიხონოვი, ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა და ჟ. ე. დუშ სანტუშმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც დამსწრეთ აურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

საუბარმა გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

16 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ მოსკოვიდან კანადაში ამ ქვეყნის პარლამენტის მიწვევით ოფიციალურ ვიზიტად გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საკანონმდებლო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჰ. ა. ალიევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲒᲐ „ᲐᲚᲐᲨᲐᲠᲐᲡ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲒᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმის განვითარებაში დიდი წვლილისათვის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით გამომცემლობა „ალაშარა“ დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ᲚᲐᲨᲕᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1983 წლის 16 მაისი.

ᲯᲘᲚᲓᲝ ᲙᲠᲝᲞᲝᲞᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ

ᲞᲠᲝᲙᲝᲞᲘᲔᲕᲡᲙᲘ. კემეროვოს ოლქი, 16 მაისი. (საკდესი). კუზნეცკის აუზის მრგალიტს უწოდებენ პროკოპიევსკს. მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ქვანახშირის მრეწველობის განვითარებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისა და დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების უზარმაზარ ეფექტიანობა ომისშემდგომ ეტაპზე, ეკონომიკურ ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა

ავამაღლოთ მინათმოქმედების კულტურა

აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სასურსათო პროგრამის რეალიზაციის პრაქტიკული საკითხები სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 18 აპრილს გამართული თათბირის მოთხოვნათა შესაბამისად განიხილეს საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტში მოწვეულ თათბირზე.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები დაუღალავად წყვეტენ პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების მიერ დასახულ ამოცანებს. გადაჭარბებით შესრულდა ჩაის ფოთლის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალებანი.

ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის განვითარებაში, სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში ჯერ კიდევ არის ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და ნაკლი. დაბალია მიწათმოქმედების კულტურა, სიმინდისა და ლობიოს, კარტოფილის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა. არადამაკმაყოფილებლად გამოიყენება ბოსტნეულის წარმოების გადიდების რეზერვებიც.

აჭარაში დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა. მიმდინარე სეზონში მნიშვნელოვანია ახალი ძალით გავაჩაღოთ ბრძოლა ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, უფრო ფართო მასშტაბით დავნერგოთ მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია მეჩაიეობაში. საჭიროა ასევე გავადიდოთ ციტრუსოვანთა ბაღების მოსავლიანობა საზოგადოებრივ მეურნეობებში, მკაცრი წესრიგი დავამყაროთ ციტრუსების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. საჭიროა დავაჩქაროთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მეცხოველეობაში — დავძლიოთ სტაქიური მოვლენათა შედეგები.

თათბირზე აღინიშნა, რომ მართალია ავტონომიურმა რესპუბლიკამ შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ხუთწლედის ორი წლის დავალება, მაგრამ დარგის ეკონომიკური მაჩვენებლები ჯერ კიდევ დაბალი რჩება. სეროზული ნაკლოვანებებია მეფრინველეობის განვითარებაში.

თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიეპყრო მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარების, სოფლად კაპიტალურ მშენებლობაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, გადამუშავებელი მრეწველობის განვითარებისა და სრულყოფის ამოცანებს, შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვის პრობლემებს.

გამოითქვა რწმენა, რომ 1983 წელს — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის წელს — აჭარელი მშრომელები აღნიშნავენ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებით და თავიანთ წვლილს შეიტანენ ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში.

(საქინფორმი).

სახელმეკრულებო დისციპლინის დაცვა მეურნეობრიობის კანონია

სამუშაო დღე საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტში იწყება ამ ოპერატიული მასალების განხილვით, რომელთა გამოც გადაწყვეტილებათა მიღების გადადება არ შეიძლება, რადგან დაყოვნება დაარღვევს საწარმოო რიტმს ამა თუ იმ საწარმოში. და განა ერთ საწარმოში? თითქმისდა, ჯაჭვური რეაქციაა, საწარმოო შეფერხება დაიწყება დარგში, რაც საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო გეგმის შესრულებას...

...საგანგაშო სიგნალი მოვიდა ზესტაფონიდან: „საქკაბელის“ ქარხანაში სადაც არის გამოელვებთ კაბელის პლასტიკატი — მას შეფერხებები გაზვნის ნოვოსიბირსკის ერთ-ერთი საწარმო. დაუყოვნებლივ უნდა დავუკავშირდეთ უდისციპლინო მომწოდებელს. შესაძლოა სახმომარაგების წარმომადგენელს მოუწიოს შორეულ ქალაქში გამგზავრება...

...ერთმანეთის მიყოლებით გაისმის რამდენიმე ტელეფონის ზარი. უჩივიან რუსთაველ მეტალურგებს, ისინი განსაზღვრულ ვადაში არ გზავნიან შავი ლითონის ნაგლინს, ფოლადის მილებს.

და აქ საჭიროა განვახორციელოთ ღონისძიებანი, ადგილობრივ და რესპუბლიკურ პარტიულ ორგანოებს ვთხოვთ ზემოქმედება მოახდინონ მეტალურგებზე...

სამწუხაროდ, ამგვარი სიძნელეები ჯერჯერობით ძალიან ხშირია. ჩვენი კომიტეტი, რომელიც კოორდინაციას უწევს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას ყოველივე იმით, რაც საჭიროა მისი განვითარებისათვის, იძულებულია დიდი ძალ-ღონე მოახმაროს თავის ფუნქციების შესრულებას. ამთავითვე გეტყვით: ყველაფერს ვერ ვახერხებთ. მაგრამ მარტო ჩვენი უგერგილობის გამო როდი ხდება ეს. სახმომარაგება ხომ არ აწარმოებს იმავე ფოლადის მილებს ან ჯაბლის პლასტიკატს. მათ ქარხნებში ამზადებენ. სახმომარაგება კი სახალხო მეურნეობის გეგმების შესაბამისად უნაწილებს ჩვენს ქვეყანაში გამომშვებულ და საზღვარგარეთიდან შემოტანილ პროდუქციას იმ დარგებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც ეს პროდუქცია სჭირდებათ, აქ ყველაფერი გათვალისწინებულია: პროდუქციის მოცულობა, მისი მიწოდების ვადები, მისამართები...

ჩვენს სახალხო მეურნეობაში ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია, — ხაზგასმით აღვნიშნავ, — საგეგმო საფუძველზე. საწარმოები, მეურნეობები ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. ვიღაცამ ვიღაცას დროზე არ მიაწოდა პროდუქცია, და ხელი ეშლება დარგობრივი ჯაჭვის არა ერთ, არამედ ბევრ საწარმოს. როგორ ასრულებენ რესპუბლიკის საწარმოები და გაერთიანებანი დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად პროდუქციის მიწოდების დავალებებსა და ვალდებულებებს?

მოვიყვან მხოლოდ საბოლოო მონაცემებს.

შარშან მომხმარებელს დააკლდა 304,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში — 83,3 მილიონი მანეთისა. მდგომარეობა არც აპრილში გამოსწორებულა.

სახელშეკრულებო ვალდებულებებს თავს ვერ ართმევენ 272 საწარმოს, აქედან 53 საკავშირო დაქვემდებარების საწარმოს კოლექტივები. მარტო მათ წილად მოდის მიუწოდებელი პროდუქციის 37,2 პროცენტი. იმათ შორის, ვინც ფუშავს ნომენკლატურისა და ხელშეკრულებათა მიხედვით მიწოდებებს, არიან ისეთი მსხვილი გაერთიანებანი, როგორიც არის თბილისის „ელმავალმშენებელი“, „ელექტროაპარატი“, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი“ და სხვანი.

დადებული ხელშეკრულებებისა და შესასრულებლად მიღებული განწესების მიხედვით პროდუქციის მიწოდების გეგმების შეუსრულებლობა საგრძნობ ეკონომიკურ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. ამავე დროს ნედლეულთან და მასალებთან, ტრანსპორტთან დაკავშირებული სიძნელეების მიუხედავადაც კი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევის ბევრი შემთხვევა შეიძლება არც იყოს, საწარმოებსა და გაერთიანებებში ჯეროვანი ყურადღება რომ ეთმობოდეს წარმოების ორგანიზაციას, შიდადარგობრივი კოოპერაციით პროდუქციის დროულ მიწოდებას, მიწოდების გეგმის შესრულებისადმი კონტროლს. ჯერჯერობით კი ეს ყურადღება არ არის საკმარისი. ამიტომ ხშირად ხდება, რომ საწარმოები, რომლებსაც სურთ ღირებულებითი გამოხატულებით შეასრულონ რეალიზაციის გეგმა, ამზადებენ და მომხმარებელს უგზავნიან ნაკლებად შრომატევად, მაგრამ უფრო ძვირად ღირებულ ნაწარმს. ამასთან მწვავე — დეფიციტური ნაწარმის გამოშვების ნაცვლად მნიშვნელოვანი ოდენობით აწარმოებენ და გზავნიან შეზღუდული მოთხოვნილების პროდუქციას. უფრო მეტიც, — შარშან ხე-ტყესა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, ქიმიის, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების საწარმოები ხშირად ამზადებდნენ შეკვეთებით გაუთვალისწინებელ პროდუქციას, რისთვისაც ხარჯავდნენ ზედმეტ მატერიალურ და სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს.

ეტყობა, ყველა ხელმძღვანელს ვერ შეუგნია მარტივი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება: სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა გეგმიანი წარმოების პირობებში მეურნეობრიობის კანონია. მიწოდების ვალდებულებათა დარღვევას უნდა მივიჩნევდეთ საგანგებო შემთხვევად. არადა, დღესაც გვხვდება მიმწოდებელი საწარმოები, რომლებიც ხელშეკრულებაში არ აღნიშნავენ მიწოდების ზუსტ ვადებს, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი წლის დამლევისათვის გადაიქცევ. ისეც ხდება ხოლმე, რომ დადგენილი წესის მიუხედავად, საწარმოები ცვლიან პროდუქციის მიწოდების ვადებს მომხმარებელთან და იმ ორგანიზაციასთან შეუთანხმებლად, რომელმაც გასცა განწესი ამ პროდუქციაზე. სახელშეკრულებო ვალდებულებანი იმის გამოც იფუშება, რომ საწარმოები უკანონოდ ეწევიან ნაწარმის რეალიზაციას გამოყოფილი ფონდების გადაჭარბებით და აწვდიან მას გარეშე ორგანიზაციებს.

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა დაცვისა და ამ საქმეში სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხზე. დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საზოგადოებრივი წარმოების თანამედროვე მასშტაბის, მისი ფართო სპეციალიზაციისა და კოოპერაციის პირობებში მთლიანად სახალხო მეურნეობისა და მისი ყველა რგოლის შემდგომი განვითარებისა და ზუსტი ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პირობაა მტკიცე სამეურნეო კავშირი, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დადგენილი მოცულობისა და ნომენკლატურით პროდუქციის მიწოდების დავალებათა ზუსტი შესრულება.

სახმომარაგებამ ეს უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტი მოქმედების სახელმძღვანელოდ გაიხადა და ახლა თავის უპირველეს ამოცანად მიაჩნია უფრო პრინციპულად დააყენოს საკითხი დადგენილ ვადებში პროდუქციის მიწოდების დარღვევისათვის საწარმოთა და გაერთიანებათა ეკონომიკური პასუხისმგებლობის დონის შესახებ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავაწესოთ აგრეთვე მიმწოდებლების მიერ მომხმარებლისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაციის კონკრეტული წილი. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უზრუნველვყოთ სანქციების უთუო გამოყენება მათი ქმედითობის ამაღლებისათვის.

ვალდებული ვართ აგრეთვე მკაცრად ვადევნოთ თვალი იმას, რომ საწარმოების მიერ გეგმების შესრულების შეფასების ძირითადი და მთავარი კრიტერიუმი (მაჩვენებელი) გახდეს ყველა იმ მომხმარებლისადმი მიწოდების გრაფიკების შესრულება, რომლებისთვისაც მუშაობს ესა თუ ის საწარმო თუ გაერთიანება. ამასთან გეგმა-გრაფიკი შესრულებულად ჩაითვლება მაშინ, როცა ამ გრაფიკის მიხედვით პროდუქციას უშალოდ მიაწოდებენ მომხმარებელს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროდუქციის მიწოდებისათვის მთელი ზრუნვა მიმწოდებლებმა უნდა იკისრონ.

მაგრამ რა ვუყოთ ისეთ კრიტერიუმს, როგორიც არის გამოშვებული პროდუქციის მოცულობა? განსაკუთრებით ისეთისა, რომლის ზეგეგმითი გამოშვება მისასალმებელი და წასახალისებელია?

მას, მაგალითად, განეკუთვნება სოფლის მეურნეობის, მეტალურგიის, ნავთობქიმიური მრეწველობისა და მთელი რიგი სხვა დარგების პროდუქცია. აქ კვლავინდებურად მოქმედებს წესი: რაც მეტია, მით უკეთესია. მაგრამ აქაც მხედველობაში უნდა მივიღოთ მხოლოდ მომხმარებლისათვის მიწოდებული პროდუქცია, და არავითარი სხვა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი საწარმოსათვის წარმოების მოცულობის ზრდის უთუო მოთხოვნას ან უბრალოდ არა აქვს აზრი, ან ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას. მაგალითად, გაუმართლებელია სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა მიერ რეალიზაციის მოცულობის გეგმის 102,3 პროცენტით შესრულება და ამასთან — მომიჯნავე ქარხნებისა და ფაბრიკებისათვის 6,9 მილიონი მანეთის პროდუქციის დაკლება.

ანდა ავიღოთ მეორე მაგალითი. შარშან რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სისტემის 100 საწარმოდან მხოლოდ ორმა ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, სახელშეკრულებო ვალდებულებანი კი ვერ შეასრულა ამ სამინისტროს საწარმოთა თითქმის ნახევარმა, რომლებმაც მომხმარებლისათვის 24,5 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლეს.

ყოველივე ეს იწვევს კაპიტალის გამკვდარებას, საწყობებში, მაღაზიების დახლებზე მოძველებული საქონლის დახვავებას, რომელზეც არ არის მოთხოვნა.

სახმომარაგების მიერ სახალხო კონტროლის ორგანოებთან ერთად მოწყობილმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი ბევრად აიხსნება იმით, რომ ცალკეული სამინისტროები ჯეროვან კონტროლს არ უწევენ საქვეუწყებო საწარმოების მიერ ხელშეკრულებათა მიხედვით პროდუქციის მიწოდების მომდინარეობას, მომთხოვნელობით არ ეკიდებიან სახელშეკრულებო მიწოდების ჩამფუშველი საწარმოების ხელმძღვანელებს. უფრო მეტიც, სამინისტროების ნებართვით გეგმების უსაფუძვლო მაკორექტირება თითქმის ყოველთვის იწვევს სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევას, რადგან ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მაკომპლექტებელი ნაწარმის მიწოდების ვადებს უმეტეს შემთხვევებში არ გადასინჯავენ ხოლმე.

მთელ რიგ საწარმოებში ხელშეკრულებათა მიხედვით პროდუქციის მიწოდების გეგმის შესრულების ხელოვნური გადიდების მიზნით ანგარიშებში შეჩქონდათ დაუმთავრებელი ნაწარმი, როგორც დამზადებული. ამიტომ ბოლო ხანს მეტ ყურადღებას ვუთმობთ საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობისადმი კონტროლს. სახალხო კონტროლის ორგანოები მკაცრად სთხოვენ პასუხს ხელმძღვანელებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ამგვარ დარღვევებში. თანამდებობის პირები, რომლებმაც დაუშვეს წამატებანი და ანგარიშგების დამახინჯება, პასუხისგებაში არიან მიცემული.

ჩვენ აღრიცხვაზე ავიყვანეთ და კონტროლი დავუწესეთ ყველა გრძელვადიანი ხელშეკრულების შესრულებას. ასეთი ხელშეკრულება კი უკვე 830-ია დადებული. სახმომარაგებამ შეიმუშავა სახელშეკრულებლო დისციპლინის გამტკიცების რეკომენდაციები და ნორმატიული მასალები სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების ხასიათისა და თავისებურებათა გათვალისწინებით. ახლა ყოველ ასეთ დარგს აქვს შესაძლებლობა, დაინახოს ამ სფეროში თავის საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები, ანალიზის საფუძველზე უკეთ დაგეგმოს პროდუქციის ნომენკლატურა. ჩვენ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციათა საფუძველზე მსუბუქი, კვების მრეწველობის სამინისტროებმა უკვე მოამზადეს ყოველი ჯგუფის ნაწარმის დამზადების გაფართოების წინადადებანი, აგრეთვე ნომენკლატურის განახლების, ახალ სახეობათა პროდუქციის გამოშვების ათვისების გეგმები.

ჩვენ მეცდინრობა ძირითადად ხმარდება იმას, რომ მეტი სიზუსტე მივანიჭოთ მომმარაგებელ, საინჟინრო და ეკონომიკური სამსახურების მუშობას. სახმომარაგების პასუხისმგებელი მუშაკები ადგილებზე ეცნობიან მიწოდების საქმეში არსებულ ვითარებას, მონაწილეობენ, ქარხნების კრებების თათბირების მუშაობაში, რომლებზეც განიხილავენ მიწოდების დისციპლინის განმტკიცების საკითხებს. ჩვენი მხრივ, სამინისტროების, გაერთიანებების, საწარმოების ხელმძღვანელებს ვიწვევთ ჩვენს კრებებზე, კოლეგიის სხდომებზე. გამოცდილება მოწმობს, რომ საკითხთა ერთობლივი განხილვისას გამოითქმება, მეტად საყურადღებო წინადადებანი და რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაცია ხელს უწყობს მიწოდების დისციპლინის განმტკიცებას.

ყოველი გაერთიანების, საწარმოს, ყოველი დიდი თუ პატარა ორგანიზაციის მიერ დადგენილი მოცულობითა და ნომენკლატურით პროდუქციის მიწოდების დავალებათა ზუსტი შესრულება ეკონომიური და სოციალური განვითარების იმ ამოცანათა გადაწყვეტის დიდმნიშვნელოვანი პირობა გახდება, რომლებიც წამოყენებულია პარტიის XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებზე, ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის შრომებსა და სიტყვებში.

ა. გუაძე,
საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარე.
(საქინფორმი).

კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობა

კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტების ათვისება 1983 წლის 4 თვეში (პროცენტობით)

	ქალაქებისა და რაიონების დასახელება	კაპიტალდაბანდებათა ლიმიტების ათვისება პროცენტობით	სამშენებლო-სამონტაჟო სამ. შესრულება პროცენტობით					
			სულ	მათ შორის				
				საბინაო მშენ.	სკოლები	სკოლამდელი	პრომ. ტექ. დან.	ჯანმრთ. დაცვა
სულ:		97	94	91	93	107	126	82
ქალაქები:								
	თბილისი	113	107	100	84	112	102	72
	ბათუმი	50	55	71	65	—	—	29
	გაგრა	96	105	133	58	135	—	—
	გორი	97	91	114	112	—	—	—
	ზუგდიდი	84	93	63	123	76	—	127
	ქუთაისი	136	103	96	—	121	—	100
	ფოთი	71	72	36	—	—	—	120
	რუსთავი	104	113	114	119	105	—	—
	სოხუმი	78	92	117	—	86	—	86
	ტყვარჩელი	106	94	94	—	—	—	—
	ტყიბული	83	92	58	60	—	—	100
	წყალტუბო	77	93	71	53	—	—	112
	ცხინვალი	47	53	89	—	—	—	—
	ჭიათურა	83	103	120	118	—	—	82
რაიონები								
	აბაშის	64	68	55	76	—	—	—
	ადიგენის	50	69	125	—	—	—	—
	ამბროლაურის	79	90	111	—	—	119	—
	ასპინძის	116	115	85	—	—	—	—
	ახალქალაქის	89	42	14	—	116	—	—
	ახალციხის	75	82	115	—	121	—	—
	ახმეტის	75	121	71	91	—	—	—
	ბოლნისის	99	91	100	105	—	121	113
	ბოგდანოვკის	32	43	—	—	—	—	—
	ბორჯომის	68	100	84	—	73	—	74
	ვანის	87	85	—	100	127	—	50
	გალის	114	116	52	130	—	—	22
	გარდაბნის	100	108	69	117	37	—	55
	გეგეჭკორის	98	119	101	—	105	—	—
	გორის	81	93	117	—	—	—	—
	გუდაუთის	71	82	55	—	—	109	71
	გურჯაანის	124	114	100	110	—	—	106
	გულრიფშის	89	86	70	—	—	—	—
	ჯავის	91	124	72	—	—	—	95
	დმანისის	88	98	117	102	—	—	95
	დუშეთის	113	114	104	—	101	116	83
	ზესტაფონის	79	77	80	114	—	119	111
	ზუგდიდის	73	95	—	126	114	—	—
	ზნაურის	15	24	—	—	—	—	—
	ქარელის	75	85	76	—	108	—	—
	კასპის	57	82	134	—	128	—	—
	ყვარლის	91	103	19	108	—	—	98
	ქობულეთის	128	102	61	—	—	—	71
	ყაზბეგის	26	25	37	—	—	—	—
	ქედის	44	43	108	92	—	—	—
	ლაგოდეხის	114	113	119	118	—	—	121
	ლენინგორის	99	107	—	—	—	—	—
	ლანჩხუთის	82	103	112	—	—	—	—
	ლენტეხის	101	104	—	130	—	—	—
	მარნეულის	86	96	123	—	119	—	109
	მახარაძის	66	79	42	100	—	—	—
	მაიაკოვსკის	53	74	—	120	131	121	—
	მესტიის	24	26	14	—	—	—	—
	მცხეთის	60	77	73	—	—	—	—
	ონის	60	66	—	130	—	—	80
	ორჯონიკიძის	33	23	44	—	—	—	—
	ოჩამჩირის	111	104	69	—	—	—	63
	საგარეჯოს	105	123	113	109	34	—	30
	სამტრედიის	84	94	—	—	93	—	116
	სარჩხერის	86	95	42	113	—	—	—
	სიღნაღის	114	106	90	70	117	—	—
	სოხუმის	102	109	—	99	—	—	109
	თელავის	92	98	116	114	—	—	119
	თერჯოლის	90	97	114	125	23	—	—
	თეთრი წყაროს	70	71	26	114	57	—	22
	თიანეთის	103	117	—	61	—	—	—
	ხაშურის	118	119	60	—	123	—	21
	ხულოს	23	25	22	—	—	—	—
	ხელვაჩაურის	98	107	116	—	83	—	116
	ხობის	69	91	26	71	44	—	45
	ცაგერის	81	83	66	—	—	—	—
	წალენჯიხის	84	85	69	—	—	—	—
	წალკის	51	66	—	60	100	—	88
	წითელწყაროს	94	98	119	—	126	—	—
	წულუკიძის	71	72	—	76	—	—	—
	ცხაკაიას	55	72	59	—	84	—	69
	ცხინვალის	97	102	104	—	—	99	—
	ჩხოროწყუს	82	96	75	—	83	—	14
	ჩოხატაურის	58	72	—	59	—	113	—
	შუახევის	135	40	122	—	—	—	—

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთლიანად რესპუბლიკაში 1983 წლის 4 თვეში კაპიტალური დაბანდებანი ათვისებულია 97 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები — 94 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა კაპიტალურ დაბანდებათა მიხედვით შეადგენს 13 პროცენტს და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიხედვით — 3 პროცენტს.

საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს ქალაქებმა თბილისმა, ქუთაისმა, რუსთავმა, აგრეთვე გურჯაანის, დუშეთის, ლაგოდეხის რაიონებმა, სადაც პრაქტიკულად შესრულებულია ყველა მაჩვენებელი კაპიტალური მშენებლობის ძირითადი დარგების მიხედვით.

ასეთი დადებითი ძვრის მიუხედავად, მთლიანად რესპუბლიკაში მიმდინარე წლის ათვისებულ მოცულობათა ხვედრითი წილი წლიურ მოცულობასთან შედარებით მხოლოდ 25-26 პროცენტს შეადგენს, დადგენილი 34 პროცენტის ნაცვლად. 71 დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო მშენებლობიდან, რომელსაც განსაკუთრებული კონტროლი აქვთ დაწესებული, კაპიტალური დაბანდებანი ათვისებული არ არის 37 ობიექტზე, რომელთაგან 23 ობიექტი ასამუშავებელია.

შეუწყნარებლად ნელია საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის ტემპი — წლიური პროგრამიდან მხოლოდ 7,4 პროცენტია გადაცემული. მშენებლების, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, შემკვეთების წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა — წლის პირველი ნახევრის დამთავრებამდე აღმოფხვრან ჩამორჩენა, უზრუნველყონ საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ამოცანა — მიმდინარე წლის აგვისტოს პირველი დეკადისათვის მთლიანად რესპუბლიკაში მომზადდეს და უზრუნველყოფილ იქნეს 42-ვე საექსპლოატაციოდ გადასაცემი სკოლა 18802 მოსწავლისათვის. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს საქმის მდგომარეობა ახმეტის, ხაშურის, ოჩამჩირის, ზესტაფონის, მესტიის რაიონებში, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

წლის პირველ ნახევარში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს სკოლა ახმეტის რაიონის სოფელ არაშენდაში, მაგრამ დღემდე სპორტული დარბაზის აგების სამუშაოები ნულოვან ციკლშია, ხოლო სასწავლო კორპუსში მხოლოდ გადასახური სამუშაოები მიმდინარეობს. ჩაიშალა აგრეთვე სკოლის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შორაპანში.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ აჯაკაზრის სკოლის მშენებლობაზე (წლის პირველი ნახევრის ასამუშავებელი ობიექტი) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დაგეგმილი მოცულობის მხოლოდ 19 პროცენტით შესრულდა.

მშენებლობის სამინისტროს ორ სკოლაში და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ექვს სკოლაში, რომლებიც წლიურს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ, ჯერ მხოლოდ საძირკვლის ჩაყრის სამუშაოები წარმოებს. მესტიის რაიონის სოფელ ლატალის სკოლაში, რომელიც შარშან უნდა გადაეცათ საექსპლოატაციოდ (საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, № 5 ტრესტი), კედლების აყვანა ჯერ კიდევ შარშან დამთავრდა, მაგრამ წლიურს მუშაობა არ განახლებულა.

სკოლამდელთა დაწესებულებების მშენებლობაზე უკანასკნელ წლებში პირველად არის მიღწეული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულების მაღალი დონე — წლიური პროგრამის 23 პროცენტი. ამასთან ერთად საექსპლოატაციოდ გადასაცემ 5 ობიექტზე მუშაობა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. ფოთში არ გაუთავისუფლებიათ ტერიტორია ობიექტის ასაშენებლად, ხობში არა აქვთ ბიმინჯები და ხიმინჯსასობი აგრეგატი, თბილისში საექსპლოატაციოდ გადასაცემ 5 სბავშვო ბაღს ჯერჯერობით მხოლოდ საძირკველს უყრიან.

თუ პროფტექნიკურ განათლების ობიექტების მშენებლობაზე უკანასკნელ წლებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმის შესრულება ოთხ თვეში 15-16 პროცენტს არ აღემატებოდა ხოლმე, წლეულს შესრულებამ შეადგინა 30 პროცენტი, რაც შარშანდელთან შედარებით ზრდის 171 პროცენტს შეადგენს.

ყველა სამშენებლო ორგანიზაციამ, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც შემკვეთის ფუნქციებს ასრულებენ, უმოკლეს ვადაში უნდა გადაჭრან ყველა საკითხი. (საქინფორმი).

ამ ... ბ ... ბ ... ბ

დილა არის სალაჭვარდო!..

ანუ ბედნიერი ფურცელი „ჭიშკარზე უბოდიშოდ“ მომდგარი ქარხნის ისტორიიდან

ბარიქრაცს რიბირაბოს ეძახიან იმერეთში. თუ დაუკვირდება კაცი ამ სიტყვას, მიხვდება — „არც აქეთ და არც იქეთს“ ნიშნავს, ეს ის დროა, როცა ღამეს დილა სულს ხდის, მაგრამ მნათობის ამოსვლამდე ჯერ აღრეა.

...ბრგე კაცმა უხმაუროდ გამოიხურა ჭიშკარი და ზეცას ახედა. იქვე ორიასწლოს მეორე კაცმა გადმოაბიჯა ალაგზე, მესამემ, მეოთხემ, მეხუთემ... თენდება, სად მიდის ამ უთენია სოფელი?..

სულ ტყუილუბრალოდ ჰყივიან მამლები, გასაღვიძებელი აღარავინაა. ხალხი სამსახურში მიიჩქარის. რვა საათზე იწყება ცვლა!

საზანო, საქარა, დილეკაური, კვალითი, კლდეეთი, ფუთი, ალავერდი, ცხრაწყარო, წეკა, ძირულა... აქ სახლობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშათა კლასი.

მარტო ზესტაფონის რაიონის სოფლები კი არა, მეზობელი რაიონების — ხარაგოულის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, ჭიათურის გლეხობა ერთ დღეს მუშაა და მეორე დღეს გლეხი, ეს საქართველოს მუშათა კლასის საგანგებო დამახასიათებელი თვისებაა — ჩვენში მუშა გლეხობიდან არ „მოსულა“, „გლეხობა“ თან მოიყოლა, ისე გახდა მუშა, ისე დადგა სადნობ ღუმელთან და კონვეიერთან, რომ სასხლავსა და შაბიამნის „მინქანისათვის“ ხელი არ გაუშვია.

„გეორგიანეს“ — „მიწის მუშებს“ გვიწოდებდნენ ძველი ბერძნები.

„ფეროს“ ქარხნის (ასე ეძახიან ჩვენში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას) მუშათა კლასზე როგორ იტყვი ყოფილი გლეხობაო, როცა ოთხი ათას ხუთასი კაციდან 95 პროცენტი მოწინავე მუშა მეურნეა და ისეთი მეურნე, რომ ტონობით ყურძენი მოჰყავს. ნუ ეწყრებით, ბატონო, სიტყვას, არჩილ ჭანკვეტაძეს ჰკითხეთ, კლდეეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, და სულ მისხალ-მისხალ გამოყვანილ საბუთს გაჩვენებთ.

საუცხოო მდნობელია ივანე მუმლაძე — 8 ტონა ყურძენი მოიწია (საინტერესო საუბარს შეველწარი პარტკომში: საამქროს უფროსმა უთხრა პარტიული კომიტეტის მდივანს, მუმლაძემ ითხოვა, ავტომანქანა მომეცითო. კომიტეტის მდივანს ქაღალდებიდან თავი არ აუწევია, ისე უთხრა: — მეორედ არ ათქმევინოთო!).

სულიკო გუმბერიძემ — ხუთი ტონა ყურძენი მოიწია, ზაურ ნიკაბაძემ — ხუთი... აქ ეს არავის უკვირს, აქ ასეთი ბევრია. ეს ჩვენი მოწინავე მუშათა კლასია — თავისი დიდბუნოვნებით, სიძლიერითა და სიკეთით, თავისუფალი ყოველგვარი „ჩემი შენიაობისაგან“ და მესაკუთრეობისაგან, — ეს განუმეორებელი სილამაზეს მატებს ჩვენს კაცს, რთული ბუნებისა და ხასიათის თანამედროვე ქართველ მუშას.

— ნამეტანი ხელშეწყობაც გვაქვს, ბატონო, კი... შრომაც დიდი გვაქვს, გარჯაც, მარა ხელშეწყობაც გვაქვს!.. ახლა ამგენს რომ უყურებთ აქ, ბატონო, ქვეყნის ხალხი, რომ ირევა... ეგერ ე... მგელივით ბიჭები რომ გარბი-გამორბიან, იმ აბრიალებულ ღუმელს ხელით ჩააქრობენ... — მითხრა, ერთმა შუა ხანს გადაცლებულმა დაკუნთულმა კაცმა გაბმით, საამო იმერული კილოთი. ახლაც ყურში მიდგას მისი ხმა.

— მთავრობა ნამეტანი გვიდგას მხარში... დილას სახლიდან მანქანით მოვყავართ, ავტობუსი კართან გიცდის შენ სოფელში, დაჯდები და მობრძანდი, საამქროში სულ შეიცვალა, ღუმელებს სამართავი პულტებიდან მართავენ, როდის იყო თეთრხალათიანი ქალი დადიოდა ამ ახლო-მახლო, ა... შევიდეთ აგერ და თქვენი თვალით ნახეთ, მერე შეიარეთ სასადილოში... სახლში თუ მობრძანდებით, ისრიმაყვალში ჩაწყობილ წიწილებს დაგახვედრებთ, ჩემ ღვინოს ღვინო არ სჯობია, მაგრამ ნოყიერი და მაწიერი აქაც დიდებულია საქმელი! ქვევით შხაპია, ყველა საამქროში „საუნა“ — ფინური ბანაო, სამუშაოს რომ მორჩები და მერე დაბანილ-დახვანჭილებული კაცი ჩაბრძანდები, დილას რომ მოგიყვანა იმ ავტობუსში და წაგიყვანა, ბატონო და ბატონიშვილო... — დოცენტის ხელა ყველასა გვაქვს. მოგეხსენებათ, იმერლებს შედარებები, ალეგორიები, მეტაფორები არ უთავდებათ, და პირდაპირ ვკითხე:

— თქვენ რამდენი გაქვთ ხელფასი?

— მე?! მე 400 მანეთი მაქვს აქ ხელფასი და... სამ ტონა ყურძენს ვიწევ სახლში... წელს ვეწახი უკეთესი მექნება, მეტი უნდა მოვიწიო... მეწვიეთ რთველზე...

პარტიული კომიტეტის მდივანი ნუგზარ ლელაძე მოვიდა, ახალგაზრდა კაცი, სწავლის დაწყებამდე აქ მუშად ნამყოფი, ქარხნის ავ-კარგის ზედმიწევნით მცოდნე. რაიკომიდან დარეკეს, პირველი მდივანი შენებლებთან თათბირზეა და ერთ საათში დაბრუნდებაო... რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ აქ კიდევ ერთი საათი გვქონდა დრო.

ვინც უკანასკნელ წლებში ამ გიგანტ ქარხანაში არ ყოფილა, ბევრი აქვს სანახავი... ღუმელები შეცვლილია, რეჟიმი სხვაა, ტექნოლოგია — ოპტიმალური, ამას ყველაფერს მეტ-ნაკლები სახარულით ხვდება კაცი, მაგრამ ფეროს შავი ბოლით გაჟანგულ, დაბოლილ, ჩაჟანგულ იმერეთის ცას, რომ მოწმენდილს და სალაჟვარდოს ნახავ, ამ სიხარულს მართლა გაძლება უნდა... ამ სიხარულს მართლა რა შეედრება!

რა იყო იმის ტოლფასოვანი სიკეთე, რამდენ ზიანსაც მანგანუმის ქარხნის ეს ამონაბოლქვი ამ მხარეს აყენებდა? აქ პასუხი ერთია მხოლოდ.



იმ სულმნათმა მამაშვილმა — ნიკო და გიორგი ნიკოლაძეებმა, იცოდნენ რომ ამ საქმეს ოდესმე პატრონი გამოუჩნდებოდა და ეს მსოფლიო მნიშვნელობის საქმე დაგვრჩებოდა ქართველებს საშვილიშვილოდ.

ჩვენში რიტორიკის ნიჭი მომადლებულადაა, დედაენაც ლამაზი გვაქვს და გონივრულად და კარგად მოლაპარაკეც ბევრია, მაგრამ ჩვენი გლეხი რომ იტყვის, გულს და ჭკუას რომ ჩადებს სათქმელში, იმას არაფერი შეედრება. ამიტომ ყველაზე უპრიანი იქნება ზესტაფონ ი ფეროშენადნობთა ქარხნის უკანასკნელი ამონაბოლქვის შემდეგ გამართულ საზეიმო დღესასწაულზე პერსონალური პენსიონერის, სოფელ ქვედა საქარის მკვიდრის უშანგი ნებიერიძის სიტყვას თუ რიგიანად მოვუვეთ.

ავიდა ტრიბუნაზე მშვენიერი აღნაგობის დარბაისელი კაცი და საზოგადოებას მიმართა:

— პატივცემულო სტუმრებო.

27 წლის ყმაწვილი ვიყავი, ამ ქარხნის მშენებლებმა პირველი წერაქვი რომ დაჰკრეს საქარის მიწას. მომსწრე ვარ პირველი სამამრეს ბალკონერში სამახსოვრო წერილის ჩატანებისაც და პირველი ფეროშენადნობის მიღებისაც.

ქვედასაქარლებს ჯერ კი გვეუცხოვა ჭიშკართან უბოდიშოდ მომდგარი ქარხანა, მაგრამ მალე შევეჩვიეთ, დავრწმუნდით მის სიკეთეში. პირველ ხანებს სიამტკბილობა გვქონდა, მერე და მერე ფარმოება რომ გაჩაღდა, კვამლი და მტვერი რომ მოგვშინაურდა, ძალიან შევწუხდით, კაცს გული მოგიკვდებოდა, შვილვეთ ნალოლიავებ ვენახში რომ ჩაშავებულ მტევნებს შეხედავდი, აღარც ხეხილი ვარგოდა და აღარც მწვანილი. ოჯახში ყურძენი ბევრი მოგვყავდა, ბავშვებს კი მაჯარი და ფელამუში ენატრებოდათ. ყურძენს რომ დავწურავდით, წვენი ყვირილასავით შავი გამოდიოდა. სანამ არ დაიწმინდებოდა და არ დაღვინდებოდა, პირს ვერ დააკარებდი. ქალებს თეთრეულის გამოფენა ეშინოდათ, შვილიშვილებთან სუფთა პირზე სეირნობა სანატრელი გვქონდა. ნათქვამია, ადამიანი ყველაფერს ეგუებაო, და ჩვენც ჩავიქნიეთ ხელი, ყური შევაჩვიეთ ფეროზე და ზესტაფონზე გამოგონილ ანეგდოტებს, კვამლსაც ისე შევაჩვიეთ თვალი, რომ ამინდის ცვალებადობას ბარომეტრივით მაგით ვგებულობდით.

დღეს ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, რა სიხარული და ბედნიერება შემოვიდა ჩვენ რაიონში, სოფელში, ოჯახებში.

კვამლი აღარ იქნებაო, რომ გაიგეს, მაჭანკლებიც მოეძალნენ ჩვენ სოფელს, ადრე რომ ცხვირს გვიბზუებდნენ — ამ ჭვარტლიან სოფელში ქალს ვინ გამოათხოვებსო.

ახლა ჩვენი გლეხობა ხალისით ჰკიდებს ხელს გუთანს, მადლობის მეტი რა გვეთქმის ჩვენი პარტიისა და მთავრობისადმი, პირადად ედუარდ ამბროსის-ძე შევარდნაძისადმი. ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა დროული კაცის სახელით მადლობას ვწირავ მას ჭეშმარიტი პატრიოტული ნაბიჯებისათვის.

მამაშვილურად მინდა დაგლოცოთ. გაიხარეთ ჩვენი გახარებისათვის!.

ყველას თავისი მიაგეს — 28 აპრილს. ყველა მონაწილეს სამახსოვრო პატარა პარკი და წერილი გადასცეს. პარკს აწერია „ფეროშენადნობთა ქარხნის უკანასკნელი ამონაბოლქვი“, და შიგ მუქი ყავისფერი, თითქმის შავი მასა ყრია, ამაზე მტვერი არ ითქმის, ეს კარგად დაფქვილი მანგანუმია. ყოველ დღე 100 ტონა ამონაბოლქვი მიჰქონდა ქარს. ვიმეორებ, 100 ტონა, წამლავდა ქვეყანას, ახლა ეს ასი ტონა წარმოებას უბრუნდება და მუშავდება. აბა, დათვლა სცადეთ — გუშინ, გუშინწინ, იმისწინ... შარშან... შარშანწინისწინ და ასე შემდეგ... ნახეკარი საუკუნე.

ამ პატარა წერილში კი წერია:

„ძვირფასო მეგობარო, — ოქროს ასოებით ჩაიწერა 1983 წლის 28 აპრილი ზესტაფონის რაიონის ისტორიაში, — დღეს უკანასკნელად გადაუვლის შეგარენს ფეროშენადნობთა ქარხნიდან ამომავალი შავი კვამლის სილუეტები და თან წაიღებს ზესტაფონელი კაცის დარდსა და ნაღველს, მამაბაბეული კერის მიტოვებით გამოწვეულს...“

ყველა დიდ მწვერვალს მისასვლელი ვაკე აქვს. გავალ ამ ვაკეს და... იქით გზა აღარაა, იქეთ მწვერვალია, და უნდა დაიპყრო... თუ ძლიერი ხარ და გონიერი, უნდა დაიპყრო.

ფაქტობრივად ყველაფერი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებით დაიწყო — „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გარემოს დაცვის, საწარმოო მუშაკთა შრომითი და ყოფა-ცხოვრების საკითხებისადმი რაიონის ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შესახებ“.

იქნებ მთლად სწორი არ იყოს საზეიმო დღეებში ამ დადგენილების ასე ვრცლად დასახელება — „უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შესახებ“, მაგრამ რას იზამ, რაც სიმართლეა, სიმართლეა! ასე დაიწყო დიდი ლაშქრობა.

„გაზგამწმენდი მოწყობილობა“ — თავისთავად დიდი არაფრის მთქმელი სახელია. ეს არის შინაარსი უზარმაზარი მოწყობილობის მშენებლობისა.

ჭიათურის სამშენებლო ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამმართველოს უფროსი **კუკური ნიკაბაძე:**

— ფეროშენადნობთა ქარხნის მე-4 საამქრო ძირითადი კერაა ატმოსფეროს დანაგვიანებისა.

ეს მართლაც უნიკალური ნაგებობაა, მისი მშენებლობა მილიონები დაჯდა, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის 6.470.000 მანეთი დაიხარჯა. ტექნიკური დოკუმენტაცია „საქმეტქარხპროექტმა“ და „ფოლადსახპროექტმა“ დაამუშავეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს „საკფეროშენადნობის“ შეკვეთით.

„საქმექანმონტაჟის“ ქუთაისის სამმართველოს ზესტაფონის უბნის უფროსი **მამია ვაშაძე:**

— დიდი სამუშაო შევასრულეთ, დავამონტაჟეთ, აირგამწმენდის 2,758 ტონა კონსტრუქციები, 860 ტონა — მოწყობილობა, 660 ტონა — დიდი დიამეტრის მილები და სხვა.

„ფოლადკონსტრუქციების“ ქუთაისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ზესტაფონის უბნის უფროსი **გოდერძი გუნცაძე:**

— 1981 წლიდან დღემდე 5.200 ტონა ლითონკონსტრუქცია დამონტაჟდა. შარშან მილიონ ექვსასი ათასი მანეთის სამუშაო შესრულდა...

ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორის მოადგილე **გედევან ქვილაძე:..**

— ნებისმიერ საქმეში არსებობს ისეთი მაჩვენებელი, რომელიც სტატისტიკის მკაცრ და ზუსტ ნორმებს არ ემორჩილება, არც „ცხადის თვალით“ ჩანს, მაინცდამაინც, — ეს არის საქმის სიყვარული და ერთგულება. ამ ხნის კაცი ვარ და ასეთი ერთსულოვნება და მონდომება არ მინახავს, ყველამ იცოდა, რას აკეთებდა. ეს ნამდვილი სახალხო საქმე იყო...

თქვენ, იქნებ, არც დაიჯეროთ, აი, აქ, სადაც ახლა ვდგავართ (ქარხნის ეზოში იყო ეს ლაპარაკი), განსაკუთრებით ცხელ ზაფხულში, პირდაპირ გრძნობდი, ბეჭებსა და კისერზე როგორ „გათოვდა“ მქვარტლი. უცხოს კი არა, მე არ მგონია ეს ცხადი. სიხარულს ჯერ ვერ შევეჩვიე. ენთუზიაზმი კარგი სიტყვაა, მაგრამ შინაგანად ეს სიტყვაც კი ვერ გამოხატავს იმ შრომის ხასიათს, ყველაფერი ბოლომდე კარგად და დინჯად კეთდებოდა, შემოწმების საჭიროება არ იყო. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, ოსტატ როსტომ ჭიღილაშვილს ამწე სჭირდებოდა, მოპირკეთებაზე მუშაობდა. მოგეხსენებათ, ამწეზე დიდი მოთხოვნილებაა, უფრო მეტიც — ტაციაობა, ჭიღლაშვილს უთხრეს, „ხვალ დილით ამწეს გამოეთხოვე, შენს საქმეს ასწრებ თუ არა, ეგ ჩვენ არ გვეხება, ხვალ ჩვენს სამუშაოს ვერ გავაცდენთო“.

ოსტატმა მთელი ღამე იმუშავა, დილას კვლავ ცვლაში გავიდა და „სამუშაო დღეც“ მოილია, შინ რომ მიდიოდა, შემჭვდა, თითქოს არაფერი... აქ ასეთი ბევრია, „ნაღდი კაცი“, უღალატო.

ეს ყველა პროცენტს და მაჩვენებელს სჯობს, ასეთ ხალხს ვერც ფასს დაადებ და ვერც არშინით გაზომავ...

ამ ლაპარაკში ვართ და ქარხნის დირექტორი **გურამ ქაშაკაშვილი** შეგვესწრო, ახლად დამონტაჟებულ საამქროსაკენ გაგვიძღვა, თბილისში ყოფილა სასწრაფო საქმეზე. დირექტორი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატია, რუსთავში ნამუშევარი და იქ ნაწროთობი, მოუსვენარი ახრის ადამიანი ჩანს, სიახლის მაძიებელი, მთავარ ინჟინერი **ივანე არაბულთან** ერთად ქარხნის რეკონსტრუქციისათვის თავდადებული. მოგეხსენებათ, მადა ჭამაში მოდის. არც არაბულსა და არც ქაშაკაშვილს მიღწეულზე და გაკეთებულზე ნაჩქარევად, „ხელანდელ დღეზე“ კი ისე მგზნებარედ ლაპარაკობენ, რომ მიხვდები, თანამედროვე ტექნიკურ აზრს ნაზიარებ ხალხს ერთიორად, ორგანულად უვითარდებათ პროგრესის შეგრძნება, — რეკონსტრუქციის დროს გაბარიტი უნდა შემცირდეს და არა გაიზარდოსო. პატარა მანძილზე დიდი მოცულობა უნდა დაიგეგმოსო, ერთი სიტყვით, ბევრ გასაკვირ აზრს მოისმენ აქ...

ომამდელი ან ომისდროინდელი ქარხანა რომ ერთმანეთს შეადაროთ, არ შეიძლება, ეს როგორც მდუღარე და შენელებული წყალი არ შეიძლება შეადარო ერთმანეთს. სხვა დროა, სხვა ტემპი და სხვა საქმე... მაგრამ „ფეროს სიხარულს“ ბევრი ადამიანის თავდადებული შრომის ჯამი უდევს საფუძვლად და პირველსხენება, ალბათ, მათ ეკუთვნით. ივანე კაკელიძეს, ვლადიმერ მელაძეს, რაფიელ აგლაძეს, გიორგი სიორიძეს, დავით ჩიკაშუას, ირაკლი ლორთქიფანიძეს, გიორგი შათირიშვილს, ზურაბ ჩხეიძეს... აქ ყველამ იცის, თუ ვარსულს ქვა ესროლე, მომავალი თოფს გესვრის, აქ ასე ზრდიან ახალ თაობას...

შტაბს, რომელიც ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვასილ კოლბინი ედგა სათავეში, ინჟინერი, საქმეში ღრმად ჩაჰედული, უბრალო კაცი, იგი ყოველ ხუთშაბათს ჩამოდიოდა ზესტაფონში, შეაყვარა ხალხს თავი, — ამბობს რაიკომის მდივანი ჯვალა გორგაძე, რომელიც რაიონის მრეწველობას ხელმძღვანელობს და რა გასაკვირია, რომ ისიც ქარხნის ტერიტორიაზე ვნახეთ.

პარტიულ მუშაკებზე არ წერენ ბევრს, რომ ვთქვათ, რასაც წერენ, არც ის არის მაინცდამაინც სრულყოფილი. — მათი ყოველდღიური საქმიანობა რაგინდ ზუსტად და საინტერესოდ აღვწეროთ, პარტიული მუშაობის არსის გამოჩენას მაინც ეშვიათად ვახერხებთ.

რა პროფესიის კაცია — პარტიული მუშაკი? შეიძლება იყოს ინჟინერი, აგრონომი, ლიტერატორი... მაგრამ ეს უკვე მისი პირველადი პროფესია არ არის. პარტიული მუშაკი მშენებლობაზე იმიტომ მიდის, რომ ჯერ მშენებელი აინტერესებს და მერე მშენებლობა, ჯერ მხვნელი და მერე ხნული. პარტიული მუშაკი ადამიანის სულის, მრწამსის მშენებელია, და ეს პროცესი ყოველდღიურ საქმიანობაშია განფენილი — შეხვედრებში, კრებებში, ჩხუბში, მოფერებაში... ეს ადამიანთან ურთიერთობის ხელოვნებაა და ძირითადად სულიერი სამყაროს იმ ძნელ ოვისებებს განეკუთვნება, რომლებსაც ერთი შეხედვით სამანი არა აქვს, და არ გაირჩევა — სად მთავრდება შრომის პროცესი და სად იწყება პიროვნების ჩამოყალიბება, სად ხდება ექსპლუატაციის გარეშე შრომით შექმნილი ახალი ადამიანის ჩამოყალიბება.

ამიტომ შეკითხვა: სად არის რაიკომის მდივანი? პასუხისათვის ძნელი კითხვაა. ამიტომ, თუ რაიკომის პირველი მდივნის დღის რეჟიმი ძალზე მკაცრი, მაქსიმალურად ზუსტი არ არის, რიტმული მუშაობა შეუძლებელია. წუხელ ღამის ცვლაში, 2 საათზე მოსულა ქარხანაში პირველი მდივანი ასლანიკაშვილი.

ლელაძემ, პარტიული კომიტეტის მდივანმა მითხრა:

— არც შემთხვევითია ეს და არც იშვიათი!.

— ყოველ ღამე დადის?

— რატომ ღამე... დღეც!..

— ოო!..

ახალგაზრდა კაცია მამუკა ასლანიკაშვილი, ენერგიით სავსე. ამბობენ, შრომისთვის არისო გაჩენილი. დიდებული მეხსიერება აქვს, არაფერს დაგივიწყებს, არც ავს და არც კარგსო, სიტყვაც მოსდგამს, მე შენ გეტყვი, კონსპექტში ჩაიხედავს...

* * *

...**ამ ამბის** თხრობა უსასრულოდ შეიძლება, ერთი დიდი წიგნი გამოვა — „სიხარულის წიგნი“, ყველაფერს როგორ იტყვი კაცი?! ამ ამბავს მთქმელიც სხვანაირი უნდა, მუზაც დიდი უნდა ამ დიდ სიხარულს.

ჩაწყობილია ლამაზ ნაჭრებად ფერადი იმერეთი, ყოველ შეხვედრაზე მონატრებულ დედასავით რომ იციან მოგებება, კაკაბაძის ნახატს რომ ჰგავს და იშხნელების სიმღერას, რბილი, გალაკტიონის სტრიქონივით იმერეთი, წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალ ქარს რომ ეხვეწებოდა „უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ — არ უთხრა კი ვისიო“...

აი, ვისი მუზის საკადრისია ეს სიხარული, ეს დიდი სალაყვარდო, საქართველომ რომ იზეიმა ახლახან.

ახედავდა ზეცას, გალაკტიონი, გაიღიმებდა თავისი ჯადო ღიმილით და იტყოდა — „შეხედე რა ცაა! ეს არის რაცაა!...

რეზო დვალიშვილი.

ზესტაფონი, ფეროშენადნობთა ქარხანა. მაისი.

17 მაისი

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები საქართველოს ცხოვრებიდან

საქალაქო იუწყება

ანგარიშგება-არჩევნების კამპანია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაში

პრაღა. დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საქალაქო და საოლქო ორგანიზაციათა ანგარიშგება-არჩევნების კონფერენციები. მათმა დელეგატებმა შეაჯამეს იმ მუშაობის შედეგები, რომლებიც კომუნისტებმა გასწიეს ადგილებზე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობის შემდეგ, მათ განიხილეს ოლქებისა და უდიდესი ქალაქების პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში, კონფერენციებზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობის პროგრამის წარმატებით შესრულების საწინდარია პარტიის ხელმძღვანელი როლის, ხალხთან მისი კავშირის შემდგომი გაღრმავება, თითოეული კომუნისტის აქტიური მონაწილეობა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში.

პარტკონფერენციათა ყურადღების ცენტრში იდგა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, პრაქტიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა უსწრაფესი დანერგვის საკითხები, კონფერენციებზე გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა მონაწილეობის გაფართოებას საერთაშორისო სოციალისტური შრომის დანაწილებაში, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან.

განიხილეს რა იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები, დელეგატებმა, ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს მისი შეტევითი ხასიათი ბურჟუაზიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში, მჭიდრო კავშირი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ ამოცანებთან, აღნიშნეს მისი როლი შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულების გამომუშავებაში, დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

საოლქო და საქალაქო პარტკონფერენციების მომდინარეობამ და შედეგებმა კვლავ თვალნათლივ ცხადყვეს, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პოლიტიკას მთლიანად უჭერენ მხარს ჩეხოსლოვაკული ხალხის ფართო მასები.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ანგარიშგება-არჩევნების პარტკონფერენციებმა, წერს დღეს გაზეთი „რუდე პრავო“, გვიჩვენეს ჩვენი პარტიის იდეურ-პოლიტიკური მოწიფულობა, მისი რიგების შეკავშირება, ყველა კომუნისტის სიტყვისა და საქმის ერთიანობა. კონფერენციებზე მოწყობილმა პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანებისა და პრობლემების ღრმა ანალიზმა, მოწონავე გამოკიდლებისა და აქტუალური მოთხოვნების ფართო განზოგადებამ დიდმნიშვნელოვანი წვლილი შემატეს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის მობილიზაციას ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მეშვიდე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულების, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის შემდგომი განვითარებისათვის საბრძოლველად.

ა. კონდრაშოვი.

შეხვედრა დამასკოში

დამასკო. სირიის პრეზიდენტი ჰ. ასადი აქ შეხვდა ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების ხელმძღვანელთა დელეგაციას, რომელთა შორის იყვნენ ლიბანის პროგრესულ-სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ვ. ჯუმბლათი, ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ჟ. ხაუი, ლიბანის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი ა. კოსო.

შეხვედრის დროს დაწვრილებით გააანალიზეს ლიბანში შექმნილი ვითარება ამ ქვეყნის მონისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის მიერ მოწონებული ლიბან-ისრაელის შეთანხმების პროექტის შესაბამისად. ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების ლიდერთა დელეგაციამ სირიის პრეზიდენტს გაანალა ლიბანის პროგრესული და პატრიოტული ძალების ხელმძღვანელთა გაფართოებული თათბირის შედეგები. ეს თათბირი 15 მაისს გამართა ქალაქ ზგორტაში და დაგმო შეთანხმება, რომელიც თელავივმა და ვაშინგტონმა მოახვიეს თავს ბეირუთს.

ჰ. ასადმა დაადასტურა, რომ სირია მთლიანად უჭერს მხარს ეროვნულ-პატრიოტული ძალების პოზიციას, რომლებიც წინააღუდგნენ ცდებს, რომელთა მიზანია წაართვან ლიბანს სუვერენიტეტი, დაამყარონ ამ სახელმწიფოში ისრაელის ბატონობა, გარიყონ იგი არაბული სამყაროსაგან. ახლანდელ პირობებში, ხაზი გაუსვა მან, თავიანთი სამშობლოს ჭეშმარიტმა პატრიოტებმა ამ გეგმების წინააღმდეგ უნდა გაილაშქრონ. საჭიროა გამოვაშკარავოთ სიცრუე, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ რეალური ვითარების შენიღბვას. სირიის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ შეთანხმების ავტორები იწრაფვიან საქმე ისე წარმოსახონ, თითქოს ლაპარაკია ლიბანიდან ისრაელის ჯარების გაყვანაზე, სინამდვილეში შეთანხმება ითვალისწინებს ლიბანზე ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ბატონობის განუსაზღვრელი დროით დამყარებას. სირიის არაბთა რესპუბლიკა, რომელიც ლიბანის, სირიის, ყველა არაბი ხალხის ინტერესებით ხელმძღვანელობს, ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების მხარეზე გამოდის, განაცხადა დასასრულ ჰ. ასადმა.

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ გადაჭრით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები დაამყაროს იმპერიალისტური და სიონისტური ბატონობა ლიბანისადმი. პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლთა წინაშე გამოსვლისას პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარემ ი. არაფატმა ხაზი გაუსვა, რომ პალესტინის რევოლუცია განაგრძობს ბრძოლას ახლო აღმოსავლეთში მტრული გეგმების ჩაშლისათვის. ი. არაფატმა თქვა, რომ ამ ბოლო დღეებში გაძლიერდა ისრაელის საომარი სამზადისი და ხაზი გაუსვა, რომ თელავივის აგრესიულ ამბიციებს აღვივებენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები.

ფოტოინფორმაცია

პრაღა. საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლში გაიხსნა ხაკდეხის ფოტოგამოფენა „გმირობა მშვიდობის საკეთილდღეოდ“.

აქ წარმოდგენილი ხაკდეხის სამხედრო კორესპონდენტთა ნამუშევრები ახასიათებენ სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლებს, სხვა სტრატეგიულ ოპერაციებს, რომლებიც წითელმა არმიამ განახორციელა 1943 წელს, აგრეთვე ლენინგრადის ბლოკადის გარღვევას. ფოტოდოკუმენტებმა აღნიშნეს საბჭოთა მეომრების გმირობა, რომელთა უმაგალითო ვაჟკაცობის შედეგად არა მარტო განვდევნეთ დამპყრობლები საბჭოეთიდან, არამედ ევროპის ხალხებიც გავათავისუფლეთ ფაშისტური მონობისაგან.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი დარბაზი.

ჩტკ-საკლესიის ტელეფოტო.

ფოლადის ბრბოს ბრძოლა

ბერლინი. ბერლინის ბრბოს ბრძოლა ფოლადის ბრბოს ბრძოლა. ეს

დიდი ავლა-დიდება

მუზეუმები საერთაშორისო საბჭოს XI გენერალურ კონფერენციაზე 1977 წელს მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ყოველწლიურად 18 მაისს აღინიშნოს მუზეუმების საერთაშორისო დღე. მას შემდეგ ყოველ წელიწადს ეს დღე ხდება მუზეუმების — ადამიანებსა და ქვეყნებს შორის კულტურული გაცვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალების — თავისებური დათვალიერება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სულ 5 პატარა დარგობრივი მუზეუმი იყო.

უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე ათ წელიწადში საქართველოს მუზეუმების რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მათი ფონდები, რომლებიც სისტემატურად ივსება ახალი ექსპონატებით, მათ შორის საქართველოში ფართოდ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დიდმნიშვნელოვანი მონაპოვრებით. დღეისათვის რესპუბლიკაში 120 მუზეუმია, რომლებსაც ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნიდან და საზღვარგარეთის სახელმწიფოებიდან ჩამოსული 2 მილიონზე მეტი კაცი ათვალიერებს. მათ უნდა დავუმატოთ 230 სახალხო მუზეუმი, რომლებიც შექმნილია და მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე — სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, დიდ ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მუზეუმები, რომლებიც შეიქმნა კერძო კოლექციების საფუძველზე.

ჩამოყალიბდა და კულტურული და მეცნიერული გაცვლის მძლავრ ძალად გადაიქცნენ ისეთი ეროვნული მუზეუმები, როგორიც არის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელთა მეგობრობის მუზეუმი. ისინი დაკავშირებული არიან არა მარტო ასეთი ტიპის სხვა დიდ საბჭოთა დაწესებულებებთან, არამედ საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის მუზეუმებთანაც. მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა ექსპოზიციები „საქართველოს უძველესი ხელოვნება“, „ფიროსმანი“, „საქართველოს თანამედროვე ხელოვნება“, რომლებსაც საზღვარგარეთი აწყობს ხოლმე საქართველოს ხელოვნების მუზეუმის კოლექტივი.

საქართველოს მუზეუმები აქტიურად იღვწიან, რათა განახორციელონ საერთაშორისო დღის დევიზი. „მუზეუმი კულტურული გაცვლის, კულტურათა გამდიდრების, ხალხთა შორის ურთიერთგაგების, თანამშრომლობისა და მშვიდობის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა“.

გაიზარდა კონტაქტები მუზეუმების მუშაკებსა და სპეციალისტ-რესტავრატორებს შორის. ეს გაცვლა უკვე დიდი ხანია ქვეყნის ფარგლებს გასცდა. ბევრი ქართველი სპეციალისტი სტაჟირებას გადიოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში. ხოლო საზღვარგარეთი სპეციალისტები საქართველოში სწავლობენ მღვიმეებისა და კლდეში ნაკვეთი ქალაქების კონსერვაციის, ღია ცის ქვეშ არსებული სამუზეუმო ექსპონატების დაცვის ქართველი კოლეგების მეთოდებს.

მუზეუმების საერთაშორისო დღე საქართველოში, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, სამუზეუმო საქმის მიღწევათა დათვალიერებაც არის და მსოფლიო გამოცდილების განზოგადებაც მომავალი მუშაობის გაშლისათვის.

მუზეუმების ქსელი გამუდმებით ფართოვდება. მაგალითად, სულ ახლახან დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის მხატვრული მემკვიდრეობის დაცვის გაუმჯობესებისა და გამოყენების მიზნით საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადაეცა ძველებური სამსართულიანი სახლი, სადაც მოთავსდება მხატვრის შემოქმედების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია. სხვათა შორის, დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმი მხატვრის მემკვიდრეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საცავია — აქ მისი 158 ტილო ინახება.

ახლოვდება დიდი დღესასწაული, ქართველი და რუსი ხალხების მარადიული ძმობისა და მეგობრობის მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. მუზეუმები, თქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. ბ. გამრეკელმა, — კულტურის სწორედ ეს კერენა, რომლებმაც უნდა ასახონ ხალხთა ამ ძმური ერთიანობის დიდი მიღწევები.

წლევანდელი დღესასწაულიც საქართველოში სწორედ ამ დევიზით ჩაიარეს—რესპუბლიკის პრაქტიკულად ყველა დიდმა და პატარა მუზეუმმა მოამზადა ან ამზადებს ამ თარიღისადმი მიძღვნილ ექსპოზიციებს. მათში აისახება ძმობისა და აღმშენებლობის 200 წლის ერთობლივი გზის შედეგები.

(საქინფორმი).

ნათელი მრწამსის ერთგული

გამორჩეულთა ხვედრია, თავიანთი ცხოვრებით სამგალობლონი გახდნენ ყველასთვის — ამხანაგების, მოწაფეების და მომავალი თაობებისათვის. ასეთ ბედნიერ პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თადარგის გენერალ-მაიორი ალექსანდრე კოჭლავაშვილი.

ერუდირებული, ფართო დიაპაზონის და მისწრაფებების მქონე მეცნიერი-მკვლევარის მოღვაწეობის სფერო მოიცავდა ლიტერატურათმცოდნეობის, არქივმცოდნეობის და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პრობლემებს. თუმცა სწავლული მუდამ ცხოველ ინტერესს იჩენდა ტექნიკურ მეცნიერებათა, კერძოდ, მეტალურგიის ნაკლებად გაშუქებული საკითხებისადმი, რომლებსაც რუდუნებით იკვლევდა და შემდეგ ნარკვევებისა თუ მონოგრაფიების სახით აყალიბებდა. განსაკუთრებით დიდია ა. კოჭლავაშვილის დამსახურება ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში. აქ მან საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის კვლევის დარგში გამოსცადა მისთვის ესოდენ უხვად მომადლებული კვლევის ნიჭი და უნარი და დატოვა კიდევ ნათელი კვალი.

ა. კოჭლავაშვილი 1906 წელს დაიბადა თბილისში, რკინიგზელი მუშის ოჯახში. აქვე მიიღო მან დაწყებითი განათლება და ფიზიკური შრომის მადლსაც აქ ეზიარა. სიყმაწვილიდანვე მხარში ედგა და ეხმარებოდა იგი თავის წვრილშვილიან შრომლებს ოჯახის შენახვაში, შრომაში იწრთობოდა როგორც უზადო ზნეობის და კეთილშობილური პრინციპების მქონე ადამიანი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ა. კოჭლავაშვილი როგორც ერთ-ერთი პირველი კომკავშირელთაგანი განახლებული საქართველოს მშენებელთა რიგებში ჩადგა და მას შემდეგ მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. 20-იანი წლების მიღწევარე დღეებში იგი ახერხებდა „შეეთავსებინა სწავლა, შრომა და აქტიური კომკავშრომული საქმიანობა.

ა. კოჭლავაშვილს როგორც ახალგაზრდა პარტიულ მუშაკს ღრმად სწამდა, რომ ახალი საზოგადოების აშენებაში გადამწყვეტ სიტყვას ცოდნით შეიარაღებული ადამიანები იტყოდნენ. პირადი თხოვნით, სწავლის წარმატებით დასამთავრებლად იგი ზესტაფონის ფერომანგანდნობთა ქარხანაში გაგზავნეს. აქ ახალგაზრდა სპეციალისტი აშუშავებდა სადიპლომო პროექტს და თან უფროს მდნობლად მუშობდა. თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ასეთი მუყაითი შეზამების შედეგი იყო, რომ სადიპლომო ნაშრომი „ელექტროდნობა“ ფრიადზე შეფასდა და ცალკე წიგნად გამოიცა. ეს იყო მისი პირველი მეცნიერული ნაშრომი, პირველი წიგნი. რამდენიმე წელს ა. კოჭლავაშვილი კვლავ განაგრძობდა მუშობას „ფეროში“, ახლა უკვე ინჟინერ-კონსტრუქტორად. მისი პროექტით აიგო ერთი საცდელი საამქრო. ზესტაფონში მუშაობის დროს რესპუბლიკის ტექნიკურმა საზოგადოებამ ა. კოჭლავაშვილი გაიცნო როგორც ნიჭიერი და პერსპექტიული სპეციალისტი, სწორედ ამიტომ 1936 წელს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თხოვნით იგი გადაიყვანეს ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. ინსტიტუტის დირექტორი იმზანად იყო აკადემიკოსი დ. პისარჟევსკი, რომელთან მუშობამაც ახალგაზრდა მეცნიერს კიდევ უფრო მეტი ცოდნა და გამოცდილება შესძინა. ამავე ხანებში ა. კოჭლავაშვილი შეთავსებით მუშაობდა ჟურნალ „ტექნიკა და შრომის“ რედაქტორად.

30-იანი წლების მიწურულს საერთაშორისო ვითარება სულ უფრო დაძაბული ხდებოდა. პარტია რაზმაგდა ხალხს და წარმართავდა მის შრომას საომნოდ, რომ უფრო დაჩქარებული ტემპით განვითარებულიყო ქვეყნის სახალხო მეურნეობა, კერძოდ, ინდუსტრია, რათა ჩვენი მრეწველობა გატოლებოდა საერთაშორისო დონეს. რთული ამოცანები იყო ამ მხრივ საქართველოშიც. სწორედ ასეთ პირობებში პარტიამ ა. კოჭლავაშვილს დიდი ნდობა გამოუცხადა

და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილება ჩაბარა.

40-იან წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ა. კოჭლავაშვილი გაგზავნეს სახელმწიფო უშიშრობის ორგანოებში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე სამუშაოდ. დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში ა. კოჭლავაშვილმა იბრძოლა და იმრომა ისე, როგორც ეს შეეფერება ჰეშმარიტ რაინდს, ნამდვილ პატრიოტს, მის დამსახურებაზე მეტყველებს მთავრობის მრავალი ჯილდო და მადლობა. ომის დამთავრების დღეს იგი

წლებიდან ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. რესპუბლიკურ პრესაში და გამოქვეყნებული მისი წერილები და სტატიები ნათლად მეტყველებენ ავტორის მრავალმხრივ განათლებაზე. მაშინაც კი, როცა მნიშვნელოვან, პასუხსაგებ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე იყო, უდიდესი მოუცლელობის მიუხედავად, არქივების და საოჯახო ბიბლიოთეკების ხშირი სტუმარი, დამახასიათებელი გულისყურითა და მონდომებით იკვლევდა ისტორიის, არქეოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის საინტერესო საკითხებს. ასეთ მუყაით მუშაობას მოჰყვა სრულიად ახალი საისტორიო წყაროების პუბლიკაციები: „სვანეთის გლეხთა შეიარაღებული აჯანყება 1875-1876 წლებში“ (1945 წ), „რუსეთის როლი საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაში“ (1955). 1958 წელს გამოქვეყნდა ა. კოჭლავაშვილის ორი ნაშრომი „აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი“ და ლიტერატურულ-ისტორიული გამოკვლევა „ქართული ბროლი“. ცალკე წიგნებად გამოიცა მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

განსაკუთრებით დიდი შრომა და ენერგია მოახმარა მკვლევარმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულის «История индустриализации Грузинской ССР». შექმნასა და გამოსაცემად მომზადებას. ამ კრებულის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის გამოჩენილმა მეცნიერმა ისტორიკოსებმა, ეკონომისტებმა, მისი მთავარი რედაქტორი ა. კოჭლავაშვილი იყო.

ა. კოჭლავაშვილის მეცნიერულ ინტერესთა სფეროს არც სოფლის მრრომელები გამორჩენია — 1977 წელს დაისტამბა მისი ერთ-ერთი უკანასკნელი მონოგრაფია „საქართველოს სოფლის მუშათა ბრძოლა სოციალიზმისათვის“.

ა.კოჭლავაშვილი ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელებული დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმის „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულის შექმნის აქტიური მონაწილეა. იგი იყო საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VII და VIII ტომების ერთ-ერთი ავტორი. ავტორთა კოლექტივთან ერთად 1982 წელს სწავლულს გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

გამოჩენილი მეცნიერი სათავეში ჩაუდგა ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორიის შექმნის თაობაზე ჯერ კიდევ 30-იან წლებში დიდი პროლეტარული მწერლის ა. გორკის მიერ წამოწყებულ საქმეს, რომელიც ჩვენში 70-იან წლებში აღორძინდა. მოულოდნელმა სიკვდილმა ხელი შეუშალა სწავლულს განეხორციელებინა თავისი საინტერესო გეგმები და ჩანაფიქრი, მაგრამ მისი მეთაურობით დაწყებულ საქმეს კოლეგები და ნამოწაფარნი განაგრძობენ.

ჩვენი საზოგადოებრიობა სიყვარულით იგონებს ღვაწლმოსილ მეცნიერსა და მოქალაქეს, ახალგაზრდობის გულისხმიერ აღმზრდელსა და საიმედო მეგობარს.

ი. გვერდწითელი,
აკადემიკოსი;

ს. ჩხარტიშვილი,
პროფესორი;

ვ. მელაძე,
რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

განვამტკიცებთ საუბარს იმის თაობაზე, თუ როგორ ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადისათვის. ამჯერად გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის საპატიო ოსტატი ნელი სალაძე.

მხატვრული ტანვარჯიში

წინა სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის მხატვრული ტანვარჯიშის ნაკრებმა მართლაც შთამბეჭდავი შედეგები მოიპოვა. სამწუხაროდ, ამჯერად სავალალო მდგომარეობაა. საქმე ის არის, რომ სახპარტაკიადო სტარტებამდე სამი თვით ადრე გუნდს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გამოეთიშა ნაკრების რამდენიმე წევრი. ასე რომ, ახლა რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ ჯამოუცდელი, ახალბედა, თუმცა პერსპექტიული გოგონები. მართალია, ჩვენი ლიდერი ირინე გაბაშვილი ტრავმების შემდეგ ისევ დაუბრუნდა ვარჯიშს, მაგრამ მარტო ირინეს გაუჭირდება უძლიერეს ტანმოვარჯიშეებთან მეტოქეობა. მით უფრო, რომ მან შეჯიბრების გამოცდილება თითქმის დაკარგა. ერთია კი, ესაა — VIII სპარტაკიადაზე ნაკრები კოლექტივები წარმოდგენილი იქნებიან მხოლოდ სამ-სამი სპორტსმენით. გასული სპარტაკიადა ამ მხრივაც იდეალური იყო ჩვენთვის. მაშინ ახპარეზობაში მონაწილეობდა ცხრა სპორტსმენი — 6 ჯგუფურში და 3 — პირადში.

უნდა ითქვას, რომ აშკარა ჩამორჩენის მიუხედავად ქართული მხატვრული ტანვარჯიში მაინც ამბობს თავის სიტყვას. ჩვენმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს წელს გამართულ თითქმის ყველა საერთაშორისო, საკავშირო თუ ადგილობრივ შეჯიბრებაში. 1982 წლის საერთო-გუნდური შეჯიბრებაში ჩვენ ბრონზა ავიღეთ. ეს ადგილი ჩვენ ბოლო ოლიმპიადაზეც ვიმყოფებოდით. ეს ადგილი ჩვენ ბოლო ოლიმპიადაზეც ვიმყოფებოდით. ეს ადგილი ჩვენ ბოლო ოლიმპიადაზეც ვიმყოფებოდით.



სახლეობის სავიზიტო გარათი

საბჭოთა მხატვრულმა ტანვარჯიშმა პირველი ნაბიჯები გადადგა ომისშემდგომ წლებში. 1947 და 1948 წლებში, ჯერ ტალინში, შემდეგ კი თბილისში გაიმართა პირველი და მეორე საკავშირო კონკურსები მხატვრულ ტანვარჯიშში. დებულების თანახმად, თბილისში გამართულ მეორე კონკურსზე პირველად გაბატამშდა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. 1948 წელსვე მოეწყო საქართველოს პირველი ჩემპიონატი. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა თანდათანობით მოიპოვეს აღიარება და მისმა წარმომადგენლებმა დამკვიდრეს ადგილი სსრ კავშირის ნაკრებში. 1979 წელს ლონდონში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ირინე გაბაშვილმა მრავალჭიდში მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო ბურთით ვარჯიშში ოქროს მედალს დაეუფლა. დალი დოლიძემ კი ამავე ასპარეზობის ჯგუფურ ვარჯიშში თანაგუნდელებთან ერთად ოქროს მედალი მოიპოვა. გაბაშვილმა ლენტით და ბურთით ვარჯიშში 1979 ნელს სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა.

მხატვრული ტანვარჯიში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში პირველად 1979 წელს შეიტანეს. აქ ირინე გაბაშვილი უძლიერესი იყო ლენტით და ბურთით ვარჯიშში, საქართველოს ნაკრები კი შესამე საჭრრიზო ადგილს დაეუფლა.

ჯერი დასკვნითი მავჩეგისა

მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული წინასწარი შეჯიბრება ჯგუფებში ქალთა გუნდებს შორის. ჯგუფური ტურნირების ბოლო მატჩები ასე დამთავრდა:

„ა“ ჯგუფი. ყაზახეთი-სომხეთი — 97:67, რსფსრ--ტაჯიკეთი — 114:59. ჯგუფში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 1. რსფსრ, 2. ყაზახეთი, 3. სომხეთი, 4. ტაჯიკეთი.

„ბ“ ჯგუფი. ესტონეთი-ლატვია — 41:58, საქართველო-ლატვა — 52:59. ადგილები: 1. ლატვია, 2. ლატვა, 3. ესტონეთი, 4. საქართველო.

„ვ“ ჯგუფი. მოლდავეთი-უზბეკეთი — 67:71, მოსკოვი-ბელორუსია — 55:57. ადგილები: 1. ბელორუსია, 2. მოსკოვი, 3. უზბეკეთი, 4. მოლდავეთი.

„გ“ ჯგუფი. ლენინგრადი-აზერბაიჯანი — 109:46, უკრაინა-ყირგიზეთი — 94:75. ადგილები: 1. ლენინგრადი, 2. უკრაინა, 3. ყირგიზეთი, 4. აზერბაიჯანი, 5. თურქმენეთი.

დღეს მოსკოვში დაიწყება **დასკვნითი ტურნირები.** ფინალურ ოქტეტში ითამაშებენ რუსეთის ფედერაციის, ლატვიის, ბელორუსიის, ლენინგრადის, ყაზახეთის, ლიტვის, მოსკოვის და უკრაინის გუნდები. აქედან პირველი ოთხი გუნდი ფინალურ ოქტეტში თითო მოგებით შევიდა, მეორე ოთხეული კი თითო წაგებით. მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისათვის ითამაშებენ სომხეთის, ესტონეთის, უზბეკეთის და ყირგიზეთის კოლექტივები, მეცამეტე-მეჩვიდმეტესთვის — ტაჯიკეთის, საქართველოს, მოლდავეთის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის გუნდები.

ბოლო ტურის წინ

თბილისში მიმდინარე გეორგიევსკის ტრაქტატისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელისწინა, მერვე ტური მეტად მძაფრი გამოდგა. ოთხივე პარტიაში შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა.

ჩინებულად ითამაშა ზ. სტურუამ ე. უბილავასთან. ორმხრივ ძლიერ ციტენტში სტურუა მეტოქეზე უფრო ზუსტად თამაშობდა და მოიგო. ამ გამარჯვების შემდეგ სტურუას სატურნირო მდგომარეობა ფრიად განმტკიცდა. ახლა მას პირველი ადგილისათვის ჩინებული შესაძლებლობა აქვს. ბ. გურგენიძე, როგორც ყოველთვის, ორიგინალურად თამაშობდა. მან თეორიებით ხარისხი შესწირა გ. ზაიჩიკს და მოუქარა შეუქმნა მეტოქეს მეფეს. ზაიჩიკმა საბოლოო ანგარიშით შეძლო შეტევის მოგერიება და გამარჯვა. გ. გიორგაძე დიდხანს მცირე უპირატესობას ინარჩუნებდა ე. გუფელდთან. დიდოსტატმა შეძლო მდგომარეობის გათანაბრება — ყაიმი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების ე. გელერისა და თ. გიორგაძის შეხვედრას. მეტოქენი შეუპოვრად იბრძოდნენ. პარტია გადაიდო. თ. გიორგაძეს ზედმეტი ხარისხი აქვს პაიკში, მაგრამ მდგომარეობა თანაბარია.

8 ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა თ. გიორგაძე, რომელსაც 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. მეორე ადგილზე გადაინაცვლა ზ. სტურუა — 4 ქულა და 2 გადადებული პარტია. 4 ქულითა და 1 გადადებული პარტიით მესამეა გ. ზაიჩიკი. ე. გუფელდმა 3,5 ქულა მოგაგროვა და ერთი პარტია გადადებული აქვს, ზ. აზმაიფარაშვილმა — 3,5 ქულა შვიდი შესაძლებლობიდან. ე. გელერს 2,5 ქულა და 3 გადადებული პარტია აქვს. 2 ქულა მოგაროვა გ. გიორგაძემ, ბ. გურგენიძესა და ე. უბილავას 1,5-1,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

გ. გამრეკელი.

საგამოფენო დარბაზებში

მხატვრის მდიდარი სამყარო

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირმა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან ერთად ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მოაწყო ახალგაზრდა მხატვრის თემურაზ თურმანიძის პერსონალური გამოფენა „ჩემი მზიანი სამშობლო“.

თემურაზ თურმანიძემ 1971 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების ფაკულტეტი, შემდეგ კი ასპირანტურა, 1975 წელს გამომცემლობა „მერნის“ საგამოფენო დარბაზში მოეწყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა. ამას მოჰყვა გამოფენები ქ. მოსკოვში, ალეირსა და მაროკოში.

დაუშრეტელი ენერგია, ლაღი ბუნება, შინაგანი ტემპერამენტი, მდიდარი ფანტაზია, დახვეწილი სტილი, სისადავე მრავალსმომქმელსა და ახლობელს ხდის მხატვრის შემოქმედებას. გამოფენაზე წარმოდგენილ 60 ნამუშევარში კარგად აისახა ჩვენი დღევანდელი დღე, ჩვენი თანამედროვის ცხოვრება, მშობლიური მხარის უსაზღვრო სიყვარული.

თ. თურმანიძის შემოქმედება დიდად არის დავალებული ჩვენი სასიქადულო მხატვრის სერგო ქობულაძისაგან, რომელიც სტუდენტობიდანვე დიდ მზრუნველობას უწევდა ნიჭიერ ახალგაზრდას. ამის დასტურია გამოფენაზე წარმოდგენილი ტემპერით შესრულებული ნამუშევრები, პორტრეტი „სამხატვრო აკადემიის სტუდენტი“.

— თემურ თურმანიძის ნამუშევრების ნახვისთანავე, — გვეუბნება სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, — უკვე შესამჩნევი ხდება, რომ სამშე გვაქვს ქართული ტრადიციების გამგრძელებელ ერთ-ერთ ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვართან. სასიამოვნოა, რომ მხატვრის პირველი გამოფენის შემდეგ უფრო დაიხვეწა მისი გემოვნება, ხელწერა, ამაღლდა პროფესიული დონე. თ. თურმანიძე არის საინტერესო მხატვარი, კარგი პიროვნება, რომელიც ასე კარგად ახერხებს შეუთავსოს ერთმანეთს ინტენსიური შემოქმედებითი ძიებანი და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა.

უკვე ათი წელია თ. თურმანიძე, როგორც დამდგმელი მხატვარი, ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშობას ეწევა საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში. უკანასკნელ წლებში იგი ახალგაზრდობის აღზრდის ფრიად საპატიო მოვალეობასაც ასრულებს — პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სახვითი ხელოვნებისა და ხაზვის კათედრის გამგეა.

სტუდენტებთან ურთიერთობა, მათი ცხოვრებისა და ფსიქიკის სიღრმეში ნათქვამია: თქვენი გაზეთის 25 მარტის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი რუბრიკით — სასამართლო დარბაზიდან — „ბინის ქურდი“. მასში მხილებული იყო ანდრო მეგრელიშვილი, რომელსაც ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ ქურდობისათვის ათი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

წერილში აღნიშნული იყო, რომ ა. მეგრელიშვილი ჩაუწერილად ცხოვრობდა საკაძის ქუჩაზე ლუბა ქაფიანიძის ბინაში. ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ინსპექტორი, რომელიც ამ უბანს ემსახურებოდა, ფხიზლად რომ ყოფილიყო, არამზადა უფრო მალე გამოვლინდებოდა. განყოფილების პირადი შემადგენლობის ოპერატიულ თათბირზე განხილულ იქნა საკაძის ქუჩის უბნის ინსპექტორის, მილიციის კაპიტნის ალბერტ გიგოს ძე ლიპარტაშვილის საკითხი, რომლის უყურადღებობითაც შესაძლებელი გახდა ა. მეგრელიშვილის მიერ მოქალაქეთა ბინის გაქურდვა, რისთვისაც უბნის ინსპექტორს, მილიციის კაპიტანს ა. ლიპარტაშვილს ბრძანებით გამოეცხადა საყვედური. იგი კიდევ უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებდა, მაგრამ მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ის ახალი დანიშნული იყო ამ უბანში და ამასთან აქტიური მონაწილეობა მიიღო ბინის ქურდის — მეგრელიშვილის დადგენა-დაკავებაში.



სურათზე: გამოფენის ექსპონატები „სტუდენტი“ და „პლანერი“.

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

რედაქციას უპასუხებს თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი შ. წინწკალაძე

რედაქციაში გამოგზავნილ

სპორტი

18 მაისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — მოგზაურთა კლუბი. 10.45 — „მარადიული მოწოდება“. V სერია. 11.50 — დ. შოსტაკოვიჩი. № 1 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. 12.10 და 15.10 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.55 — კონცერტი. 17.20 — ბავშვებს მხეცების შესახებ. 17.50 — კონცერტი. 18.20 — გამოგვეხმაურეთ, მეგუკენო! 19.05 — ტელენარკვევი „გამოცდა“. 19.35 — მულტფილმები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. ბულგარეთის ნაკრები—სსრ კავშირის ნაკრები. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ტელეფილმი. 23.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 14.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.35 — ასტრონომია. X კლასი. 10.05 და 13.40 — გერმანული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ფიზიკა. 11.35 და 12.40 — ზოგადი ბიოლოგია. IX კლასი. 12.05 — თქვენთვის, მშობლებო! 13.10 — მუსიკა. IV კლასი. 14.30 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა. 15.15 — რას და როგორ ასწავლიან პროფტექნიკურ სასწავლებლებში. 15.45 — ა. ჯ. ჩეხოვი — „მია ვანო“. 16.30 — და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — კინომაყურებლის თანამგზავრი. 20.05 — „შთაგონება“. ფილმ-კონცერტი. 20.30 — ა. ვოზნესენსკი. სხვადასხვა წლების ლექსები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარა ბო!“. 21.15 — ჩეხოსლოვაკიური ფოლკლორული ფესტივალი „ვიხოდნო“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „მოქალაქე ლეშა“.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ყველა მისი ვაჟიშვილი“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — სატელევიზიო დადგმა „წარღვნა“. I და II ნაწილი. 12.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სერგო ზანარიაძე“. 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.00 — შეეთანხმოთ გერმანული ენა. 16.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შემოქმედნი“. 17.20 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ“ (ლენინგრადდან). 17.50 მულტიპლიკაციური ფილმი. 18.05 — მოსწავლეთათვის „შეხვედრა მწერალთან“. 18.45 — კონცერტი „ეს გაზაფხული თბილისის“. 19.30 — „მოამბე“. 20.00 — ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: ბულგარეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები (გადმოცემა ბულგარეთიდან). შესვენების დროს — გადაცემა, „თუ გინდა, იყო ჯანმრთელი“ (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „ხვალ — ტელევიკრანზე“. 22.40 — ახალგაზრდობისათვის „სტუდენტური დღეები-83“. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედება. 23.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გურუმსარაის ცისარტყელა“. 16.55 — მოსწავლეთათვის ქართული ლიტერატურა. 17.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბრძოლის საათი“. 17.50 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „ტყის სასადილო“. 18.50 — განცხადებები.

ოლიმპიადა

18 მაისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **რომეო და ჯულიეტა** (მე-4 აბონ. მე-10 წარმდგ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პრემიერა;** თბილისის სახელმწიფო დრამატული — **გამოქვაბული** (29-ე აბონ. მე-6 წარმდგენა); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **რძლები;** მინაატიურების სახელმწიფო — **არ შეგირიგდები.**

KOMMUNISTI INDEKS 66434 უე 07593 საქართველოს კპ ცკ-ის გაზეთ-ჟურნალების ბეჭდვის ... ლენინის ქ. 14. ... ... 29.